საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 14 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხეზედ კი 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 260 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 260

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული მშობლები იასონ (სიმონ) და მატრონა, ძმები: გიორგი, მიხეილ, დები: დარია და ნინა, რძლები: ელენე და ეკატერინე და ძმისწული ლეონიდი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალექსანდრა (საშას) სიმონის ასული გახტაძე

რომელიც გარდაიცვალა 10 ნოემბერს დილის 7 საათზე ქალაქის საავათმყოფოში ავლაბარში. გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს დილის 12 ს. ქალაქის (არამიანცი) საავათმყოფოდან და დაკრძალვა იმავე დღის დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—2)

გულდამწვარნი გიორგი ხიმონის ძე და ელენე პეტრეს ასული ბახტაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 10 ნოემბერს დილის 7 საათზე უდროოთ დასჭკნა ნორჩი სიცოცხლე დაუვიწყარის და საყვარელის პირველის დის და მეორის მეგობარი მეუღლის

ალექსანდრა (საშა) სიმონის ასული გახტაძე

გამოსვენება კვირას, 14 ნოემბერს დილის 12 ს. ქალაქის (არამიანცი) საავათმყოფოდან და დაკრძალვა იმავე დღეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—2)

ღრმათ დამწუხარებულნი: დედა ანნა დიმიტრის ასული, დები—მარგარიტა, ნინა, ეთერი და ძმა ნიკოლოზ ყველაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 14 ნოემბერს გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

შალვა ესტატეს ძე ანანიაშვილისა

წმ. 6 ნოს ეკლესიაში, კუკიის სასაფლაოზე, პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ 12 საათზე (3670—1—1)

---

15 ნოემბერს დილის თერთმეტ საათზე ნიკოლოზის ქუჩაზე ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გიმნაზიის 7 კლასის მოწაფის

ანნა ნინიევის

სულის მოსახსენებლად. (3660—1—1)

ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ექიმები გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაცვალებულ ძვირფას ექიმის თანაშემწის

ალექსანდრა გახტაძის

დაკრძალვა მოხდება დღეს 14 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება საავათმყოფოდან 12 საათზე.

(3675—1—1)

ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ექიმის თანაშემწენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ დაუვიწყარი მეგობრის

საშა გახტაძის

დაკრძალვა მოხდება 14 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება საავათმყოფოდან 12 საათზე. (3675—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: ედუკი ბოლქვაძისა, ფეოდოსი, აკვარინე, ელენე, სამსონ და ონისიფორ ბოლქვაძეები, პაშა და ლენა ბოლქვაძეებისა, ლიდა და ტიტიკო თევზაძეები, ივლიანე ძნელაძე და ლევანტი თევზაძე. პირველი მეუღლე, მეორენი შვილები, მესამენი რძლები, მეოთხენი შვილის შვილები და მეხუთენი სიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

კონსტანტინე ანდრიას ძე ბოლქვაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფ. ნოლის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (3673—1—1)

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ. დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ცამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნუსხულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—10) **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.**

სახელოსნო კლუბის გამგეობა

აცხადებს რომ კვირას 14 ნოემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) კლუბის დახურვა, 2) წევრისა კანდიდატის გადასახადის დაწესება 1921 წლისათვის, 3) მიმდინარე კითხვები, საზოგადო კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. (3671—1—1)

„კერენ-აისოდის“

საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც დაარსებულია საქართველოს სიონისტების ცენტრალურ კომიტეტის ორგანიზაციის მიერ, სადაც შედიან ებრაელების საზოგადოებების და დაწესებულებათა წარმომადგენლები კვირას, 14 ნოემბერს დილის 10 ნახ. საათზე იწვევს

ებრაელების საზოგადო კრებას

დიდ სინაგოგაში. დღის წესრიგშია მოხსენება და „კერენ-აისოდის“ კომიტეტის არჩევა.

(3652—2—2)

საჭიროა 2 ექიმი ზემო სვანეთისათვის

ჯამაგირი 25,000 მან. თვიურათ. გზის ხარჯები ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა მიმართონ ჯანმრთელობის დეპარტამენტს ქ ენიას ქუჩაზე სახ. № 10 ამ თვის 18-მდე. (3661—2—2)

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექცია იწვევს ერთ ბრიგადის

ინსტრუქტორს და ათასეულის **სამ მასწავლებელს**

ქუთაისის გუბერნიაში მდგომ ჯარის ნაწილებისათვის. პირობები: ინსტრუქტორს 7.200 მან, ხოლო მასწავლებლებს 6.500 მ. სრული ოფიცრის კმაყოფით (პაიოკით) სამსახური ჩაეთვლებათ, როგორც განათლების უწყებაში მოსამსახურეთ. (3676—1—1)

ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას ა/წ. 14 ნოემბერს დილის 10 საათ კავშირის შენობაში (სასახლის ქ. № 5) შესდგება რწმუნებულთა

კრება

შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) ინფორმაცია ქალ. ტფილისის და მის მაზრის კოოპერატივთა კავშირის უკანასკნელ დროის მოღვაწეობის შესახებ. 2) კავშირის წესდების შეცვლა, 3) საპაიო გადასახადის გადიდება კოოპერატივებში, 4) წარმომადგენლების არჩევა საქ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირის ყრილობაზე 5) მიმდინარე საქმენი.

თუ ვინიცობაა აღნიშნულ რიცხვში კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო მეორეთ. კრება ინიშნება იმავე შენობაში იმავე დღეს დილის 11 საათზე და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (3614—2—2)

რას თხოულობს ოპოზიცია

4 ნოემბრის საგანგებო სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერების ორატორმა დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან განაცხადა: ის გარეშე საფრთხე რომელიც საქართველოს ემუქრება, მოითხოვს, რომ ეხლანდელი მთავრობა გადადგეს. დღეს ეს ლოზუნგი თავისად გაიხადა მემარჯვენე ოპოზიციამაც. „საქართველო“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებული მოწინავე წერილი ასე თავდება:

„მთავრობა მთელი მისი შემადგენლობით დაუყონებლივ უნდა გადადგეს“.

საფრთხის ჟამს მართლაც ხშირად ხდება ხოლმე, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა, თავდაცვის საჭიროება მოითხოვს ახალი კაბინეთის შედგენას.

ასე მოხდა თითქმის ყველა სახელმწიფოში უკანასკნელი მსოფლიო ომის დასაწყისში. მთავრობის გადადგომას და ახალი კაბინეთის შედგენას ამისთანა შემთხვევებში ერთი უმთავრესი მიზანი აქვს: გაერთიანება მთელი ერის, ყველა კლასების ნებისყოფისა, ხალხის ყველა ელემენტების დაინტერესება თავდაცვის საქმით და მათ შორის თანასწორად განაწილება პასუხისმგებლობისა ქვეყნის ბედ-იღბალისათვის. ამიტომ ახალი კაბინეთის შედგენაც შესაფერ საფუძველზე ხდება,—იგი დამოკიდებულია **კოალიციის** საფუძველზე: ყოველი გავლენიანი პარტია თავის წარმომადგენლებს გზავნის სამინისტროში და ამნაირად მონაწილე ხდება მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკისა. და მარტო ეს აზრი შეიძლება ჩაიდვას იმ მოთხოვნაში, რომელიც წამოყენებულია დღეს როგორც „მემარცხენე“ ისე მემარჯვენე ოპოზიციის მიერ. რაც უნდა უსუსური და პოლიტიკური ბალღებისაგან იყოს შემდგარი ჩვენებური ესერების პარტია მაინც არა გვგონია ისეთ უგუნურებამდის მივიდეს, რომ მის წარმომადგენლების მოთხოვნას სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრული ჩამოშორება და სახელმწიფოს სათავეში წმინდა ესერული კაბინეთის დაყენება ჰქონდეს აზრათ. რაც უნდა სპეკულიანტური და ანგარიშიანი სულისკვეთება ამოძრავებდეს იმ კლასს, რომელსაც ემსახურება „საქართველო“, ეს ანგარიშს ხალხი მაინც ვერ მივა იმ შეუსაბამობამდის, რომ სთქვას, სოციალ-დემოკრატია გადადგეს და მთავრობა მთლად ჩვენმა პარტიამ შეადგინოსო. მაშასადამე ეს ორივე ოპოზიციის ლოზუნგი მთავრობის გადადგომის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ლოღიკაზე დაფუძნებული, თუ ისინი მოითხოვენ ახალი მთავრობის შედგენას **კოალიციის**, პარტიათა შეთანხმების პრინციპზე.

მაგრამ ოპოზიციის სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ მათი ახალი ლოზუნგი მოკლებულია ამ ერთად-ერთს ლოღიკურს საფუძველს. ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა პირდაპირ და გადაჭრით განაცხადეს, ჩვენ არ შევალთ მთავრობაში, მთავრობაში ისევ სოც.-დემოკრატიული უნდა იყოსო. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა ლება გამოვიყვანოთ: სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმე ყოფილა მთავრობის შეცვლა-არ შეცვლის საკითხი, მისი საქმე ყოფილა იმის გადაწყვეტა თუ რომელი მინისტრი შეეფერება თავის პოსტს და რომელია შეუფერებელი, საჭიროა, თუ არა სამინისტროში ახალი პირების შეყვანა. მხოლოდ ასეთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს აღიარებას, კაბინეთი სოციალ-დემოკრატიული უნდა იყოსო. თუ მე მანდობთ მთავრობის შედგენას, ნებაც უნდა მომცეთ პორტფელები იმ პირთ ჩავაბარო, ვინც მე თითონ მიმაჩნია საუკეთესოდ. თუ თქვენ უარს ამბობთ კოალიციაზე და მთავრობაში მონაწილეობაზე, თუ ხელს იბანთ და მთავრობის საქმეებისათვის პასუხისმგებლობას არ კისრულობთ, არავითარი ზნეობრივი და ლოღიკური უფლება არა გაქვთ ჩაერიოთ პორტფელების განაწილების საქმეში და იმ პარტიას, რომელსაც თქვენვე აბამთ სახელმწიფოს მართვის მძიმე უღელში, მოახვიოთ ისეთი პირები, რომელიც მას არ მიაჩნია თავისათვის მოსახერხებლად. მაშასადამე ვინც ამბობს, არც მთავრობის შედგენაა მინდა და არც, კოალიციაო, ის ვერ იტყვის იმას, რაც სთქვა „საქართველომ“: „მთავრობა მთელი შემადგენლობით უნდა დაუყონებლივ გადადგესო.“ ამ მოთხოვნას არავითარი ლოღიკა, არავითარი პოლიტიკური აზრი არა აქვს.

არა-ნაკლებ ბუნდოვანი, ულოღიკო და პოლიტიკურ უმეცრებაზეა დაფუძნებული ეს-ერების მოთხოვნა. მთავრობა უნდა დაუყონებლივ გადადგეს და თვით დამფუძნებელმა კრებამ უნდა აიღოს ხელში რესპუბლიკის მართვა-გამგეობა, ასეთია მათი გეგმა. რას ნიშნავს თვით დამფუძნებელი კრების მიერ აღება მართვა-გამგეობისა? როგორ, რა ფორმით უნდა მოხდეს ეს? ვეჭვობთ, რომ თვით ეს-ერები ჩაფიქრებულიყვნენ მათი ორატორის მიერ ასე უთავბოლოდ წამოსროლილ მყვირალა და სრულიად უშინაარსო ფრაზის აზრს. რა თქმა უნდა, ყველა 130 დეპუტატი ერთად ვერ იკისრებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

ამისათვის საჭირო იქნება განსაკუთრებული ორგანიზაცია, რაიმე ორგანოს შექმნა. ეს-ერებს არავითარი გეგმა ამ ორგანოს შესაქმნელად არ წამოუყენებიათ. მაგრამ რამდენადაც მათი პოლიტიკური ლიტერატურიდან და პარტიული პროგრამიდან ჩანს, მათ არც შეუძლიანთ რაიმე ახალი პრინციპი წამოაყენონ მთავრობის შესაქმნელად. დიდ მყვირალა და ტრაბახა ხალხია ჩვენებური ესერები, მაგრამ არ გვგონია მათ ამერიკას აღმოჩენაზე განაცხადონ პრეტენზია ამ დარგში: ჩვეულებრივ დემოკრატიულ პრინციპებზე შორს მთავრობის შედგენის საქმეში ისინი არც წასულან და ვერც წავლენ. რას მოღვატანს ახლა მათი რეცეპტი—თვით დამფუძნებელმა კრებამ აიღოს ხელში მართვა-გამგეობაო? ორში ერთი: ეს ან იმას ნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრების მიერ დანიშნულ მთავრობაში ყველა პარტიებს უნდა ჰყავდეთ წარმომადგენლები, ეს ნიშნავს მთავრობის შედგენას კოალიციის პრინციპზე, და თუ ეს ჰქონდათ სახეში ეს-ერების ორატორებს, ეს პირდაპირ უნდა ეთქვათ და ეს აზრი არ უნდა გაეხვიათ მყვირალა და დემაგოგიურ ფრაზებში. ან და „თვით დამფუძნებელი კრების მიერ ხელში აღება მართვა გამგეობისა“ ნიშნავს იმას, რომ დამფუძნებელი კრება თვითვე, თავის შემადგენლობიდან აირჩევს ერთს ან რამდენიმე პირს და მათ დაავალებს სახელმწიფოს საქმეების გაძღოლას. მაგრამ განა დღევანდელი მთავრობა ასე არ არის შედგენილი? განა იგი არ წარმოადგენს დამფუძნებელი კრების, ასე ვთქვათ, „აღმასრულებელ კომიტეტს“? მთელი საქმე იმაშია, რომ ეს-ერებს, არ მოსწონთ დღევანდელი მთავრობა არ მოსწონთ მისი მეთაური ნოე ჟორდანია და კაბინეთის წევრები მათ უფრო შესაფერად და ნიჭიერ პოლიტიკურ მოღვაწეებად მიაჩნიათ ბ.ბ. ლეო შენგელაია, ივანე გობეჩია, ილია ნუცუბიძე და ივანე ლორთქიფანიძე. ეს მათი პოლიტიკური გემოვნების საქმეა, მაგრამ, რა გაეწყობა, როდესაც დამფუძნებელი კრებაში ხალხმა 104 სოციალ-დემოკრატი გაგზავნა და მხოლოდ 6 ეს ერი?

ჩვენ ვხედავთ, რომ „მთავრობის გადადგომის“ ლოზუნგის წამოსროლა როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ ოპოზიციის სრული პოლიტიკურის დაფანტულობით აიხსნება.

ჩვენ გვწამს, რომ ამ ლოზუნგის ავტორები დაინტერესებულნი არიან თავდაცვის წესიერად მოწყობაში, გვჯერა, რომ მათ მიერ ამ ლოზუნგის წამოსროლით შეგნებულს მიზანს არ შეადგენს სახელმწიფოში ანარქიის შეტანა და მისი დასუსტება. მაგრამ რომ ამ ლოზუნგის წამოყენებით მისი ავტორები შეუგნებლად ზიანს აყენებენ რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს, ეს კი სრულიად აშკარაა.

ქემალ-ფაშის თავდასხმა სომხეთზე

ოსმალეთის სარდლობის მიერ სომხეთისადმი წაყენებული ზავის პირობები მეტად დამახასიათებელია იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც ახორციელებს ოსმალეთის იმპერიალიზმი. ეს ულტიმატუმი სომხეთს უყენებს ორი რიგის პირობებს: ერთი შეეხება სომხეთის ჯარის შეიარაღებას, მეორე—რკინის გზას. პირველი რიგის პირობების შესრულება სომხეთის მხრივ იმის მომასწავებელი იქნება, რომ სომხეთი თითქმის სულმთლად უიარაღოთ დარჩება შემოსეული მტრის წინაშე და სომხის ერის სიკვდილ სიცოცხლე მტრის გუნებაზე იქნება დამოკიდებული. 2000 თოფის, 20 მძიმე და 40 მსუბუქი ტყვიისმფრქვეველის და მთელი არტილერიის გადაცემას არ შეიძლება სხვა აზრი ჰქონდეს. ის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება რკინის გზას, ქემალის ჯარს ხდის ფაქტიურ ბატონ პატრონად სომხეთის რკინის გზისას. სომხეთის რესპუბლიკის განკარგულებაში ორთქლმავლების და ვაგონების ისე მცირე რიცხვია, რომ 2 ორთქლმავლის და 50 ვაგონის ოსმალთა ჯარის ხელში გადაცემით შეჩერდება მთელი მოძრაობა რკინის გზაზე.

ქემალ-ფაშა დღეს იბრუნებს იმას, რაც ოსმალეთმა 1918 წელში მოსთხოვა სომხეთს. ამ პირობის ასრულება სომხეთის მიწასთან გასწორებას უდრის. ეს ულტიმატუმი მაჩვენებელია იმ აშკარა მტაცებლობისა, რომელიც ახასიათებს ოსმალეთის პან-ისლამისტებს. არაფერი გასამართლებელი საბუთი ქემალის სარდლობას არა აქვს ამ ულტიმატუმის წარდგენისათვის. სანამ ყარსის ოლქში წარმოებდა სამხედრო მოქმედება, იქ ქემალ ფაშას კიდევ შეეძლო ნაციონალური ლოზუნგით გაემართლებინა სომხეთთან ომი. მაგრამ დღეს იგი ბობოქრობს გუმბრის რაიონში, იქ, სადაც მთლად სომხური მოსახლეობაა და მაშასადამე მის მოქმედებაში უკვე არავითარი ეროვნული მოტივები აღარა ჩანს, აქ არის ცარიელი ველური ძალადობა.

სომხეთს, რა თქმა უნდა, უარი უთქვამს ულტიმატუმის მიღებაზე. სხვა პასუხის მიცემა შეუძლებელიც იყო, მთავრობისაგან, რომელსაც თავისი მოვალეობის შეგნება აქვს. დანებებით და დამორჩილებით სომხეთის მთავრობა ვერ იხსნიდა განსაცდელიდან თავის ერს, თავის სახელმწიფოს. წარსულის მწარე გაკვეთილებიდან მან იცის, რას ნიშნავს ოსმალთა ჯარების ხელში ჩავარდნა უიარაღოთ. სომხეთი განაგრძობს ომს შემოსეულ მტერთან. ამ ომს სომხეთის მხრივ დღეს წმინდა თავდაცვითი ხასიათი აქვს და ამიტომ მთელი ჩვენი თანაგრძნობა მისკენ არის.

დამფუძნებელი კრების მოწოდება ქართველი ხალხისადმი

საქართველოს ხალხო!

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყულ საზღვრებს კვლავ ემუქრება თავხედი მტერი.

უსამ ნელესი ტანჯვით დაუძლურებული სომხეთი დიდის გაჭირვებით უწევს წინააღმდეგობას ქემალ-ფაშის ბრბოებს: დაეცა ყარსი, სომხეთის საუკეთესო სიმაგრე; ოსმალებმა დაიჭირეს გუმბრი (ალექსანდროპოლი).

სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობასაც.

ჩვენი ისტორიული მტრები, რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს, არ სცნობენ ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობას, ვერ ურიგდებიან სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენს საზღვრებში არსებობას; ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩვენზე თავდასხმისათვის.

მოსალოდნელია რომ სომხეთზე გამარჯვებით გათამამებული ქემალ-ფაშა მთელი თავისი ძალღონით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.

ოსმალთა შიშველ-ტიტველი, დამშეული ბრბოები ოცნებობენ ჩვენი მშვიდობიანი ქალაქების გაძარცვას, ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარჩო-საბადებელის გაზიდვას.

ოსმალებს ახსოვს 1918 წლის გამარჯვების ტკბილი მოგონება-საქართველოში იმათ ბათომის დაცემის დროინდელი მოშლილი ჯარი და მოუწყობელი სახელმწიფო ეგულებათ.

მაგრამ თქვენ, საქართველოს შვილნო, იცით, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში არა ერთი მძიმე საფრთხე უნახავს ჩვენ ხალხს; არა ერთი სასტიკი ომი გადაუხდია.

და ყოველი დაბრკოლება გმირულად გადაულახავს მას; პირნათლად გამოსულა უმძიმესი გასაჭირიდანაც კი. თქვენ იცით რომ მრავალ ბრძოლაში გაკაჟდა ჩვენი ქვეყნის დამცველი ჯარი და გვარდია, მრავალ განსაცდელში გამოიჭედა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე...

იმ დროს, როცა სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა დამარცხებული ძველი ოსმალეთი, განახლებული საქართველოს ძალა და სიმტკიცე იზრდებოდა დღითი დღე.

და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენს სიმტკიცეს, ის დაინახავს ამას, როცა პირისპირ შეეტაკება ჩვენ სახელოვან მეომრებს. მაშინ მოიგონებს ის ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლას, მოიგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმამაცეს და გაუტეხელ ვაჟკაცობას.

ქართველო ხალხო.

შენი თავისუფალი დემოკრატიული სამშობლო ისევ განსაცდელშია და შენგან არჩეული დამფუძნებელი კრება კვლავ თავდაცვისათვის მოგიწოდებს.

სამშობლო მრავალ გვარ მსხვერპლს მოითხოვს.

შემოკრბით თქვენი დამფუძნებელი კრების და მთავრობის ირგვლივ.

დაიცავით შიგნით წესრიგი.

სიყვარულით და მზრუნველობით მოეპყარით ჩვენს ფრონტს.

იქონიეთ შეუდრეკელი რწმენა მტერზე გამარჯვებისა და მაშინ სახელოვანი იქნება ჩვენი ბრძოლა. ბრწყინვალე იქნება ჩვენი გამარჯვება.

დაამზადეთ თფილი წინდები და ხელთათმანი ფრონტისათვის

— იქნება თუ არა ომი? გულის ძგერით ფიქრობს ყოველი დედა, ყოველი და, ყოველი ქალი, ვინც სამშობლოს თავდაცვისათვის თავის ახლობელს ფრონტზე აგზავნის და ვისი ფიქრიც ჩვენი ქვეყნის ბედს დასტრიალებს.

იქნება თუ არა ომი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, რამდენადაც უფრო გვწყურია მშვიდობიანობა, იმდენად მეტი ენერგიით უნდა ვემზადოთ ომისათვის.

და ჩვენ, ქალებს განსაკუთრებით დიდი მოვალეობა გვაწევს დღეს. ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ეს. ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს საქმით აგრძნობინოს ჩვენს მეომრებს დედობრივი მზრუნველობა და სიყვარული.

გასაკეთებელი ბევრია. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მეომრების უზრუნველყოფა თფილი ტანისამოსით. ნაადრევი მკაცრი ზამთარი გვიდგას კარს. თუნდაც ერთი ტყვიაც არ გა-

დღეს

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით 12 ნოემბერს გუმბრის მიმართულებით სომხებს დაუკავებიათ რამდენიმე სოფელი. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ინდოეთში ინგლისის რეფორმების პროექტის წინააღმდეგ მოძრაობა ძლიერდება. ზოგიერთმა პროვინციებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისის რეფორმებს.

შეერთებული შტატებში პრეზიდენტის არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა ჰარტინს მოსვლია. ჰარტინი რესპუბლიკანური პარტიის წარმომადგენელია.

ვარდის, შეიძლება სიცივემ მრავალი მეომარი შეიწიროს მსხვერპლად, თუ მათ თბილი ტანთსაცმელი არ დაურჩათ. ამიტომ პირველი ჩვენი საზრუნავი უნდა იყოს თბილი წინდებისა და ხელთათმანების დამზადება ჯარისა და გვარდიისათვის.

არც ერთი მეომარი არ უნდა გახდეს სიცივის მსხვერპლი!

ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში უნდა გაჩაღდეს მუშაობა თბილების დასამზადებლათ. ამავე დროს დაუყონებლივ უნდა მივაწოდოთ გვარდიას და ჯარს ის რაც დამზადებულია.

ამ საქმეში ქალებმა უნდა გამოიჩინონ მთელი თავისი გულმხურვალეობა და ენერგია.

ქრისტინე შარაშიძე.

პრესა

„აშხატავორი" (№ 249) მოწინავეში ეხება დროებით ზავის საკითხს და შემდეგს სწერს:

„სომხეთის მშრომელ ხალხისთვის უკანასკნელი ამბებით შექმნილია მძიმე მდგომარეობა. და აი ამ მდგომარეობით სარგებლობს ოსმალეთის მთავრობის მიერ ასეთი დროებითი ზავის პირობების წარმოდგენა. უკვე „აშხატავორს" გამოუთქვამს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ნოემბრის 7 ის დროებითი ზავთან და გაუფრთხილებია, მთავრობა, რომ მას მოჰყვება უფრო მძიმე და მიუღებელი პირობები. ოსმალეთთან მოლაპარაკება ყოველთვის ასე ცუდათ მიმდინარეობდა.

საკმარისია მოვიგონოთ 1918 წლის მოლაპარაკება სომხეთის და ოსმალეთის შორის, რომ ცხადი გახდეს კარაბექირის და მუსტაფა ქემალის ნამდვილი მიზანი და პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ისინი ახორციელებენ საზავო მოლაპარაკების დროს.

„რა ზომ მძიმე და არა ხელსაყრელი იყოს სომხეთის მშრომელ ხალხისთვის შექმნილი მდგომარეობა, მისთვის წარდგენილი პირობები მაინც მიუღებელია. სომხეთის მშრომელ ხალხმა უნდა ნათლად შეიგნოს, რომ ოსმალეთის ფაშებთან და ფეოდალებთან სხვაფერ ვერ ილაპარაკებს სომხეთის მთავრობა, თუ არა წინააღმდეგობის გაწევით, ამიტომ უარყოფილ უნდა იქნას მათი პირობები და სომხეთის ხალხი უნდა გამოვიდეს საბრძოლველათ და შეუპოვარ თანდათანობით შეინარჩუნოს თავისი თავისუფლება. სხვა გზა არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სომხეთის მშრომელ ხალხს, როცა საქმე აქვს ისეთ ხალხთან, რომლებიც მოდის სომხეთის ხალხის ფიზიკურათ გასანადგურებლათ. მეორე მხრივ სომხეთის მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს და შექმნას ხელსაყრელი პირობები, რომ შეაჩეროს ქემალ ფაშის ჯარების წინსვლა. სომხეთის მშრომელმა ხალხმა თავისუფლების დასაცავი ძალა ისევ თავის შიგნით უნდა გამონახოს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 13.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

მოლაპარაკება ამერიკასთან სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ.

ლიონი. 9/11. ამერიკის დიდ მეწარმეების მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციის შესახებ ამერიკის ეკონომიურ და პოლიტიკურ წრეებში საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ აღიარებათ სთვლიან.

თეთრგვარდიელთა შორის.

ყირიმში ხმები დადის, რომ ახლო მომავალში მიხეილ ალექსანდრეს ძეს მეფედ აკურთხებენ და ვრანგელი მას გადასცემს მთელ ძალა-უფლებას. არის ცნობები, რომ მიხეილი სევასტოპოლში სცხოვრობს.

საფრანგეთი და ვრანგელი.

მოსკოვი. 12/11. განვლილ კვირის განმავლობაში საფრანგეთის პოზიცია ვრანგელის მიმართ მეტად შეიცვალა. ყირიმში მყოფმა საფრანგეთის წარმომადგენელმა მარტელმა მოწყალება მიიღო, რომლის ძალით მას ევალება მჭიდრო კავშირის დაკავება ესერებთან, როგორც ერთად-ერთ მტკიცე ანტიბოლშევიზმის ძალასთან.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 12/11. მოზირის რაიონში სწარმოებს ბრძოლა ბალახოვიჩის ნაწილებთან. ნოვო უზიცის რაიონში ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება. 11 ნოემბერს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 11 ოფიცერი, 800 ჯარისკაცი პეტლიურეველი და 14 ტყვიისმფრქვეველი. ყირიმის ფრონტზე უშუნსკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მკაცრი ბრძოლების შემდეგ სოფელ იუშუნთან აიღეს მოპირდაპირის გამაგრებული პოზიციები და ხელთ იგდეს 18 ზარბაზანი, 1 ტანკი, 3 ჯავშნოსანი მატარებელი, ათი ათასი ყუმბარა, 12 მილიონი პატრონა და სხვა მრავალი ქონება.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი. 13 ნოემბ. ჩვენი რაინჯი წითელი ჯარის-კაცები უკვე შედიან ყირიმში. სამგრეთის კონტრრევოლუციის გასრესა აიძულებს დასავლეთის სახელმწიფოებს და უპირველესად ინგლისს აღადგინოს ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულება. ათმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა. ამის შესახებ მოლაპარაკება შეუწყვეტლად სწარმოებს ინგლისთან, ამ ოთხი თვის წინად შევთანხმდით საქონლის გაცვლა გამოცვლის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა ინგლისი ყოველ ზომას ხმარობს ხელი შეუშალოს სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას. რუსეთის მუშები და გლეხები ახლა პირდაპირ ეკითხებიან ინგლისს მართლა სურს მას თუ არა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა? ინგლისმა ბოლოს და ბოლოს უნდა მოგვცეს ამაზე პასუხი. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა სამხრეთში აიძულებს ინგლისის მთავრობას გაიგოს, რომ კონტრ რევოლუციაზე დამყარებული იმედი უსაფუძვლოა, ვრანგელის განადგურება და გამარჯვება შრომის ფრონტზე აიძულებს ინგლისს და მასთან ერთად დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს შეუდგენ ჩვენთან საზავო მოლაპარაკების დაწყებას. რუსეთის მშრომელ ხალხს, სურს მშვიდობიანი შრომა და პროლეტარიატი მიაღწევს კიდევაც ამას.

საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა ინგლისის მთავრობას მიმართა შემდეგი განცხადებით. მოლაპარაკება სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ 10 თვეზე მეტია, რაც გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა და ინგლისის მხრივ ბევრ დამამცირებელ წინადადებასაც ითმენდა იმ იმედით, რომ მიღეწია ზავისათვის. მაგრამ მოლაპარაკება ამდენხანს უშედეგოთ სწარმოებს. საბჭოთა რუსეთი მოითხოვს უკანასკნელ პასუხს, ფიქრობს თუ არა ინგლისი დაიწყოს მოლაპარაკება ლონდონში მყოფ ჩვენ დეპუტატებთან?

მუქარა

საფრანგეთის მემაღაროეებმა უარი განაცხადეს მთავრობასთან მოლაპარაკებაზე და გაფიცვებით იმუქრებიან.

გაფიცვა ბელგიაში

ბელგიაში 60 ათასი მემაღაროელი გაიფიცა.

პოლონელები და ვილნო

პოლონეთის სეიმმა სახელმწიფო სათათბირომ წინადადება მისცა მთავრობას, მიიღოს ზომები, რომ ვილნოს მცხოვრებლებმა შესძლონ გამოსთქვან სურვილი პოლონეთის სახელმწიფოსთან შეერთებისა.

გაფრთხილება.

საბჭოთა რუსეთის საგარეო კომისარმა ჩიჩერინმა გააფრთხილა უნგრეთის მთავრობა. თუ საბჭოთა წითელ უნგრეთის ყოფილ კომისარებს სასტიკ განაჩენს გამოუტანთ, ეს იქონიებს გავლენას იმ ძველებზე და უნგრეთის აფიცრებზე, რომლებიც საბჭოთა რუსეთის კონცენტრაციულ ბარაკებში იმყოფებიან. თქვენ სასტიკ განაჩენს ჩვენი საპასუხო ზომები მოჰყვება.

ლონდონი. ნოემ. 10. იაპონია კამჩატკის საქმეებში ერევა. საბჭოთა რუსეთის ამერიკის მეწარმეებთან მოლაპარაკების გამო ბუნებრივ სიმდიდრის საექსპლოატაციოთ მათ ხელში კამჩატკის გადაცემის შესახებ, იაპონიის მთავრობა პროტესტს აცხადებს და აცხადებს თავის უფლებას—რუსეთის მიმართ, ფიქრობს რა რომ მისი ინტერესები კამჩატკასთან უფრო ახლოა ვიდრე ამერიკისა.

საგანგებო ზომები.

მოსკოვიდან ნოემბრის 10 გაგზავნილი ბოლშევიკების რადიო დეპეშაში აღწერილია ის საგანგებო ზომები, რომელიც მოსკოვის დასაცავად არის მიღებული, მაგრამ დეპეშაში არ არის აღნიშნული თუ რა ზომებია ეს ზომები. იქ დაწვრილებით არის ნათქვამი, რომ ეს ზომები გამოწვეულია იმ ანტანტის ინტრიგით, რომელსაც არ ენანება ოქრო, და უხვად ფანტავს მას ოღონდ კი ბოლშევიკური რეჟიმი დამარცხდეს.

ავსტრია ერთა ლიგაში შესვლას მოითხოვს.

ვენის გაზეთები იუწყებიან: ავსტრია ერთა ლიგაში შესვლას მოითხოვსო.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

ლონდონი. ლორდ კერზონმა კრასინის სახელზე გაგზავნილ საგანგებო ნოტაში შავ ზღვაში ჩაშვებულ საბჭოთა წყალქვეშა ნავების აგრესიული განზრახვა აღნიშნა, ლორდ კერზონი საბჭოთა წყალქვეშა ნავების მოქმედების ყველა შედეგების პასუხისმგებლობას საბჭოთა მთავრობას აკისრებს.

რეორგანიზაცია არმიის ამერიკაში.

ვაშინგტონი. ამერიკის პრესა აღნიშნავს პროექტს ამერიკის არმიის რეორგანიზაციის შესახებ. თანახმად პროექტისა განზრახულია დივიზიის შემადგენლობის გაძლიერება. ყოველ პოლკში წინააღმდეგ ერთისა, სამი ტყვიისმფრქვეველთა როტა იქნება.

ვრანგელის თხოვნა.

პარიზი. „ტანე" იუწყება: გენერალმა ვრანგელმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს სთხოვა მხარი დაუჭირონ ანტიბოლშევიკურ ძალებს. ვრანგელი თავის მოწოდებაში ურჩევს მთიელებს შეუერთდენ მის ჯარს ბოლშევიკებთან საბრძოლველათ.

მოძრაობა ინდოეთში.

ლონდონი. „ტაიმსი" იუწყება: ინდოეთში მოძრაობა ინგლისის რეფორმების პროექტის წინააღმდეგ ძლიერდება. მოძრაობას სათავეში უდგას განდი და ძმები ალი. ზოგიერთმა პროვინციებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისის რეფორმებს.

დამოკიდებულების აღდგენა ინგლისის და შეერთებულ შტატებს შორის

ნიუიორკი გადასწყდა სასწრაფოდ აღადგინონ წყალქვეშა ბოგირები ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი დამოკიდებულების მოსაწყობად.

პრეზიდენტის არჩევნები ამერიკაში

ლონდონი (რადიო) შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების კანონიერებაში ეხლა ეჭვი აღარავის არ აქვს. სიების შემოწმებით გამოირკვა რომ ყველაზე მეტი ხმა ჰარტინგს მოსვლია. ამ გვარათ რესპუბლიკანურმა პარტიამ კვლავ აღადგინა თავისი ძლიერება. ხმების უმრავლესობა ექვს მილიონ ხმას უდრის.

სამეურნეო მანქანების შეკვეთა

ბერლინი. პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა კრუპის ქარხნებს შეუკვეთა 2000 სამეურნეო მანქანა რომლის საერთო ღირებულებაც 5 მილიარდ მარკას უდრის, ნაწილი ამ ფულისა თანახმად გაზეთ „ანტანტის" ცნობისა გადახდილ უნდა იქნას ოქროთი, ნაწილი კი კონცესიებით.

სიძვირე.

პარიზი. გაზეთი „ლ-ანტანტი" იუწყება: საფრანგეთში ცხოვრება თანდათან ძვირდება. ფინჯანი ყავა 3½ ფრანკი ღირს. განსაკუთრებით გაძვირდა ფეხსაცმელი, წინდები, ტანისამოსი და სხვა. იგივე გაზეთი გადმოგვცემს: საფრანგეთის მინისტრთა საბჭო მეტად შეშფოთებულია ცხოვრების ასეთი გაძვირებით. სიძვირესთან საბრძოლველ ზომების გამოსამუშავებლად მინისტრთა საბჭომ საგანგებო თათბირი მოიწვია. სურთ რომ მცხოვრებთათვის მოიმარაგონ: პური, ხორცი, და თევზი.

დამფუძნებელი კრება

12 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა მოსამსახურეებზე 1920 წ. აგვისტოს 16-ის დეკრეტის მოქმედების გავრცელების შესახებ,

კონსტიტუციის განხილვის წესი.

პრეზიდიუმის წევრი კ. ჯაფარიძე მოახსენებს რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვის წესის პროექტს, რომელიც უკვე განიხილავს დამფ. კრების პრეზიდიუმის, საკონსტიტუციო კომისიის და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომას. სხდომას მხედველობაში მიუღია, რომ კონსტიტუციის პროექტი, როგორც ძირითადი კანონების კრებული, განირჩევა ჩვეულებრივ კანონ პროექტისაგან და დაუდგენია: კონსტიტუციის პროექტი განხილულ იქნეს 5 ჯერ:

1) კონსტიტუციის ძირითად კანონების ზოგადი განხილვა.

2) პროექტის ცალკე თავების ძირითად დებულებათა ზოგადი განხილვა.

3) ცალკე თავების მუხლობრივი განხილვა.

4) შესწორებათა და დამატებათა განხილვა ცალკე თავების შორის შესაძლებელ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლათ.

და 5) საერთო ტექსტის საბოლოო რედაქცია.

მეორე და მესამე განხილვის შორის უნდა გავიდეს 10 დღე. ამ ხნას განმავლობაში კი განხილულ იქნება ცალკე თავები.

სხვათა შორის განხილვის წესი ჰგულისხმობს, რომ ყოველგვარი შესწორებანი და დამატებანი წინასწარ განსახილველათ უნდა გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესი უკამათოდ იქნა მიღებული.

კონსტიტუციის განსახილველათ დაინიშნება კვირაში ერთი განსაკუთრებული სხდომა ოთხშაბათობით, საღამოს 6½ ს.

პირველი ასეთი სხდომა დანიშნულია 24 ნოემბრისათვის.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გარშემო

სამხედრო ცნობა.

სომხეთის დიპლომატიური მისია ოფიციალურად იუწყება: ნოემბრის 12-ს გუმბრის მიმართულებით ჩვენმა რაზმის ნაწილებმა დაიკავეს სოფლები: კანაბკრანი, ტაპარლი, ხატინა-ხარ-კული და კატანეკი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 თათარი, დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ნოემბრის 12-ს ერევნის რაზმისაგან ცნობები არ მოსულა.

ჩიჩერინი სომხეთის შესახებ.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო აქვეყნებს რადიოს, რომელიც ჩიჩერინს გაუგზავნია ლონდონში კრასინისათვის.

„მოსკოვი, 11 ნოემბერი (რადიო), ფრიად საჩქარო. ლონდონში, კრასინს. საბჭოთა რუსეთმა აღუთქვა შუამავლობა ოსმალეთისა და სომხეთს. ოსმალეთის ნაციონალისტების გამარჯვებამ ამ დღეებში კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო სომხეთი და რუსეთის შუამავლობა სწორეთ რომ დროს შესაფერია. საბჭოთა რუსეთს არას დროს არა ჰქონებია სურვილი ნახიჩევანის, ჯულფის, ზანგეზურისა და ყარაბაღის ანექსია მოეხდინა. რუსეთის ჯარმა დაიკავა ეს სადაო ადგილები მანამდე, სანამ საკითხი მოგვარებული იქნება სომხეთისა და აზერბეიჯანის მიერ. თვითეული ამ სახელმწიფოთაგან თავის უფლებებს აცხადებს ამ ოლქებზე. ნახიჩევანში მცხოვრებლები მუსულმანებია, ზანგეზურში—შერეული; ეს კი მეტად ართულებს საკითხის გადაჭრის საკითხს". „ჩიჩერინი".

ახალი ამბები

შვებულების გაგრძელება. ნებადართულ იქნეს იმ პირთა შვებულების განგრძობა, რომლებიც 1893—95 წლებში არიან დაბადებულნი და რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან. შვებულების განგრძობა შეიძლება იმ დრომდე, სანამ ამას სამხედრო სამინისტრო დაინახავს შესაძლებლად.

✦ **დანიშვნა.** ბათომის და ბათომის ოლქის განსაკუთრებულ კომისრად მთავრობის მიერ დაინიშნა გრ. გიორგაძე, რომელიც ნოემბრის 9 უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

✦ **ავიაცია.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იტალიის საავიაციო ქარხანამ გამოგზავნა საქართველოში ერთი საუკეთესო იტალიელი მფრინავი ანტონიო ლევანტინო და მექანიკი [illegible] მათი ჩამოსვლის მიზანია ქართველ მფრინავებს შეასწავლონ იტალიის აეროპლანების ხმარება.

✦ **სანოვაგეთა რეკვიზიცია.** შრომის სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს განცხადებით: ქალაქის განაპირა უბნებში მილიციის მოსამსახურენი და სხვა ზოგიერთი პირნი, რომელიც თავს გვარდიელებს უწოდებს ართმევენ სოფლელებს სანოვაგეს ძლიერ მცირე ფასებში ეს პირები ასევე იქცევიან მაშინაც, როდესაც მუშათა მაგიდისათვის მიაქვთ სურსათი. ამას წინათ ამგვარათ წაიღეს მუშათა მაგიდისათვის დამზადებული ნახშირი; მიუხედავათ სათანადო მოწმობის წარდგენისა ეს ნახშირი მაინც წაიღეს და იქვე მიყიდეს ხალხს იაფ ფასებში. შრომის სამინისტრო თხოულობს, რომ სერიოზული ყურადღება მიაქციონ მილიციელთა და გვარდიელთა ასეთ საქციელს და შემდეგში იგი აღარ განმეორდეს.

✦ **საქონლის გაცვლა-გამოცვლა.** ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას რუსულ-ქართული სავაჭრო საზოგადოება „ივერია". ამ ამხანაგობის მთავარი კანტორა დონის როსტოვში არსებობდა. ამხანაგობას განზრახული აქვს საქართველოს, რუსეთისა და ევროპას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობა. ამხანაგობის ცენტრალური გამგეობა თფილისს გადმოვიდა, დონის-როსტოვში კი განყოფილება დარჩება. ფინანსთა სამინისტროს ნებართვით ბათომში იხსნება ამ ამხანაგობის განყოფილება.

✦ **დეპეშები მთავრობის თავმჯდომარეს.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ენზელიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა. დ. ორგანიზაციისა და საბჭოს კრება ესალმება საქართველოს მთავრობას და აღუთქვამს მას ენერგიულ დახმარებას რესპუბლიკის ინტერესების დაცვაში. დუშეთიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშაა მოსული: დუშეთის მაზრის ერობის ხმოსანთა მეექვსე ყრილობამ მოისმინა დეპეშა მობილიზაციის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ქემალ ფაშის მიერ ყარსის აღებით და დაადგინა, მიიღოს ყოველი ღონისძიება მობილიზაციის სასწრაფოთ გასატარებლად. დუშეთის მაზრის დემოკრატია მზათაა დაიცვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დემოკრატია გულწრფელ სალამს უძღვნის მთავრობას, რომელმაც სამშობლოს საკეთილდღეოთ უნდა განაგრძოს თავისი მუშაობა. დემოკრატიის არა ერთხელ მოუგერებია მტერი. დემოკრატიის ბრწყინვალე ბელადმა მთავრობის თავმჯდომარემ განაგრძოს თავის მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოთ. ყრილობის თავმჯდომარე ჩხეიძე.

✦ **ავათმყოფობა.** ნოემბრის პირველისათვის ბათომში შავი ჭირით ავათ იყო 13, კვირის განმავლობაში გახდა ავათ 1, მორჩა 2, მოკვდა 1. ავათ არის ჭირით 11. ამ ხნის განმავლობაში ფოთში ჭირით არავინ არ გამხდარა ავათ. ამ რიგათ სულ რესპუბლიკაში შავი ჭირით 11 კაცი გამხდარა ავათ თფილისში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ხოლერით ავათ გახდომისა.

✦ **ყაჩაღის შეპყრობა.** ზუგდიდის

კახეთში

1. პირველი შთაბეჭდილება.

შემთხვევით მომიხდა კახეთში წასვლა პარტიულ თათბირზე დასასწრებლათ. აქამდის არ მინახავს ეს საუცხოო კუთხე ჩვენი პატარა ქვეყნის. ახლაც ვიცნობ მარტო პირველი შთაბეჭდილებით. მაგრამ ვგრძნობ, რომ დიდი ხნის ნაცნობობა მაქვს. პირველი შთაბეჭდილება ხშირათ ქმნის ამისთანა სიახლოვეს და ახლობის სურვილს.

ძნელი დასანახავი იყო კახეთი იმ დღეებში. სიძაგელი ამინდი, ნისლი, ღრუბელი, წვიმა, თოვლი... ეს ეფარა გაშლილ მინდვრებს და მაღალი მთების მაღალ მწვერვალებს გაუხედავი ზეწარივით. მათი უბრალო და შესანიშნავი სახე მაინც საოცარი მიმზიდველობით გამოიყურებოდა ამ საფარველიდან.

ასეთია ძალა ბუნებრივი მშვენიერების, ვერ დაიჩრდილება ვერაფრით. ის უფრო ძლიერიც და მომხიბვლელიც არის, როცა გიძნელდებათ მისი სავსებით დანახვა. ამ სიძნელეს საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებაში. ხელოვნება შეუძლებელია იქ, სადაც აღარა არის რა უხილავი. ის უნახავს უნდა გვანახვებდეს იმ უბრალო საგანში, ან მოვლენაში, რომელსაც ყოველ წუთს ვხედავთ, და რომელზედაც თვალი გვაქვს შეჩვეული.

აქ უთუოთ შეჩვეული აქვთ თვალი... მაგრამ მგოსნების, მხატვრების, ხელოვნების თაყვანისმცემლებს აქ შეეძლოთ ეპოვნათ დაუშრეტელი წყარო თავისი შემოქმედების. აქ შეეძლოთ ემოქმედათ მოსე წინასწარმეტყველის კვერთხივით, რომელმაც წყალი გამოიყვანა კლდიდან.

2. პიროვნული და კოლექტიური

ცოტა გადავუხვიე ჩემ საგანს. ეს პირველი შთაბეჭდილების ბრალია. ამავე შთაბეჭდილებით ვხედავ, რომ ახალ დროს დიდი ცვლილება შეუტანია ამ ხალხში, რომელიც ცნობილია თავისი სიმძიმით და ზედმეტი სიდინჯით. აქა იქ ისტორიულ ნაშთებზე ეტყობა, რომ ამ მივარდნილ კუთხეს ჰქონებია წარსულში დიდი კულტურა, მაგრამ ეს ყოფილა პიროვნული ცდის ნაყოფი ძველ კულტურას აზის ძლიერი ბეჭედი პიროვნების, ერეკლე მეფის სასახლეში და ამ სასახლის გარშემო ადვილათ შესამჩნევია გმირული პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები. კახელი ამაყობს ამით, ამაყობს და განაგრძობს კულტურულ შემოქმედებას ახლა მხოლოდ ასპარეზზე გამოსულია სხვა გმირი. ახლა მთავარ მოქმედ პირათ გამოდის ხალხი, რომელსაც ჰყავს თავისი მეთაური, მისი ნებით არჩეული და მისი ნდობით აღჭურვილი. ის თავს უყრის ბუნებრივ სიმდიდრეს, აგროვებს ნედლ მასალას და ქმნის ახალ კულტურას, რომელსაც ძველისგან განსხვავებით ეტყობა კოლექტიური შეერთებული ენერგიის ბეჭედი.

უდროობის გამო ამისი გაცნობაც შეიძლებოდა მარტო პირველი შთაბეჭდილებით. რამოდენიმე საათი იყო ჩვენს განკარგულებაში ერობის და სხვა დემოკრატიული დაწესებულებების სანახავათ. ახლად დაწყებულ საქმეს ყველგან ემჩნევა ნიჭი და დაუღალავი ხელი. ამხანაგები გარდამავალი ხანის მძიმე პირობებში იკაფავენ მომავლის გზებს, ესენი ხვალ შესაძლებელათ გახდიან დღეს შეუძლებელს, ხვალ მისწვდებიან დღეს მიუწვდომელს. ხალხის ხელით ხდება ეს წინსვლელობა.

3. პარტიული ორგანიზაცია.

ამას ვერ ვეღირსებოდით, რომ არ გვყოლოდა დიდი ხნის გაწვრთნილი, მტკიცეთ შეკავშირებული პარ., ის არის დღეს ხალხის ძლიერების გამომხატველი და მისი შემოქმედების ხელმძღვანელი. აქ ყველგან და ყველაფერში სჩანს პარტიის სალი ხელი, თუმცა ადგილობრივი ორგანიზაცია კრიზისს განიცდის. აქ დარღვეულია ის მთლიანობა, რომელიც გვახასიათებს ჩვენ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. აქ ფეხი მოუკიდებია ჯგუფურს და ვიწრო ინტერესებს. დაჰკარგვიათ ერთი-მეორის სიყვარული, უბრალო ამხანაგური განწყობილებაც. როცა თათბირზე მოხსენება გავაკეთე დღევანდელი მომენტის შესახებ, დამსწრეებმა მომმართეს აუარებელი კითხვებით. შემეკითხნენ, სხვათა შორის, მართლა მოღალატეები სხედან „ახალ სხივში" თუ არაო. მკითხეს მეორე კუთხიდან, მართლა ერთად ერთი გაზეთია ეს „ახალი სხივი", რომელიც იცავს მუშათა კლასის ინტერესებს თუ არაო.

ეს ყოფილა მათი ტკივილი, მიზეზი იმ უსიამოვნო არევ-დარევის, რომელიც, დიდი ხანია დაწყებულა პარტიულ წრეებში. ერთმანეთს უცქერიან მტრულათ, სიძულვილით. ჩვენი მისვლა მე და ამხ. ისიდორე რამიშვილის საჭირო გამოდგა თანხმობის შესატანათ და საზარელი ნისლის გასაფანტავათ.

„ახ. სხივი", რასაკვირველია, არ შედგება მოღალატეებისაგან, ამ გაზეთში სხედან გულწრფელი და ძველი ამხანაგები, მაგრამ მოღალატეობა გამოეპა მათი საქმიანობიდან, მათაც რომ არ უნდოდეთ, თუ ასე ცალკე დარჩენ და შორიდან ებრძოლენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს თქო—ვეუბნებოდით ამხანაგებს... იყო სხვა კითხვებიც „ახ. სხ." შესახებ. ამის გარშემო ყოფილა, როგორც ეტყობა, ისეთი შეხლა-შემოხლა, რომელსაც დაუჩრდილავს და ჩაუქოლავს მთელი პარტიული მუშაობა თელავის მაზრაში. კომიტეტის მოხსენებიდანაც სჩანს, რამდენათ შესუსტებულა ეს მუშაობა ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში. მაგრამ სჩანს ისიც, რომ ეს ფაქტიური განხეთქილება არ გასცილებია ზედა წრეებს ამ წრეებში მოპირდაპირე მხარე საომრათ შეიარაღებული დგას ერთი მეორის წინააღმდეგ. გამარჯვება უნდა იქნეს ან აქეთ, ან იქეთ, ზავი შეუძლებელია ხანგრძლივიც და ხანმოკლეც, ასე ფიქრობენ თითონ... აქეთაც მომზადებულია წინდაწინ ახალი კომიტეტის სია, იქეთაც. არც ერთს არ უნდა შეიტანოს თავის სიაში მეორე ბანაკის წარმომადგენელი. არც ერთი მხარე არ ზოგავს საშუალებას ამ „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლაში. ვცდილობ გავიგო შინაარსი ამ შეურიგებლობის, ამ პოლიტიკურ-ზნეობრივი სისხლის ღვრის.

იქნება, აქ არის ერთი მხრივ იდეოლოგია მუშათა კლასის და მეორე მხრივ ბურჟუაზიული ინტელიგენციის, იქნება ნამდვილი, ორთოდოქსალური მარქსიზმი ებრძვის რევიზიონიზმს და ოპორტუნიზმს... მე ვეძებ უთანხმოების პრინციპიალურ სარჩულს და ვერ ვიპოვნე ვერ. ვიპოვნე, თუმცა ამ სამაზრო ორგანიზაციაში უფრო დიდი ყოფილა ეს შინაური გაწვევება, ვიდრე, მაგალითად თითონ თფილისში.

უპრინციპო დავას გარეშემო ეხვევა პირადი სიძულვილის და საზოგადოთ პიროვნული ხასიათის ქსელი,—ნუ მათქმევინებთ ყველაფერს, რაცმე ვიცი ამის შესახებო,—ამბობს ერთი მებრძოლი ბანაკის წარმომადგენელი და უთითებს მეორისაზე.—მე ბევრი ფაქტები მაქვს ხელში ამის შესახებ, მაგრამ ახლა არ გავაცხადო,—უპასუხებს მეორე ჯგუფის მოლაპარაკე და უთითებს პირველისაზე.

4. კინკლაობიდან პარტიულ მაღლობამდის.

ეს შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო ბოლომდის. ბოლოს შეიძლებოდა ომის ველზე ერთ მხარეს დაეტოვებინა თავისი პოლიტიკური სიცოცხლე, და ამართულიყო მეორის დროშა. ასე მოხდებოდა, რომ შემთხვევით არ ჩარეულიყო თბილისი. ამხ. ის. რამიშვილის დასწრება აქ ნიშნავდა მართლა ახალი სხივის შემოჭრას ამ ბნელ ღრუბლით და ბურუსით ამხანაგურ წრეში. [illegible] ცოცხალი ენა სახეს უნათებს ყველას, იწვევს ჭაობიდან მაღლობისკენ... დიდი საქმის მნიშვნელობა აქვს ხანდახან პატარა სიტყვას..

კახელ მუშას და გლეხს ეყურება ეს სიტყვა, იცის ახლა როგორი უნდა იყოს პარტიული მუშაობა, გრძნობს მთელი თავისი არსებით, რომ კინკლაობას აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

თავისებური სახისაა აქაური პარტიული მუშაკი, მშრომელი ძირებიდან გამოსული. პირველი შეხედვით ეს გეგონებათ უვიცი, გაუგებელი, [illegible], მერე კი ხედავთ, რომ ის ერკვევა რთულ კითხვებში, ატყობთ, რომ მისთვის ხელმისაწვდომია ყველაფერი, რის მიღწევაც, ვითომ, შეუძლია მარტო ინტელიგენციას. აქ ვნახე ისეთი მუშაკები ამხანაგები, რომლებიც თვალს ადევნებენ და კარგათაც იცნობენ მთელს მწერლობას პარტიულს და არა პარტიულსაც. სიამაყით ვგრძნობდი, რომ უთუოთ გვეყოლება მომავალი თაობა, რომელიც ღირსეულათ განაგრძობს სოციალ დემოკრატიის საქმეს.

პარტიულ ძარღვს არ აქვს [illegible] ზედა წრეებში გავრცელებული უთანხმოების სენი. ამით უფრო შეთანხმება უნდათ. ხმის უმრავლესობით. ისინი, მართალია, ერთი ბანაკის გამარჯვებას ამოწმებენ, მაგრამ ახალი კომიტეტის არჩევაში იჩენენ დიდი დათმობის სურვილს. დათმობა ხშირათ ბრძოლის საუკეთესო იარაღია, დათმობა ზოგიერთ შემთხვევებში ნიშნავს დამთმობის სიმაღლეს. უკანასკნელ წუთს ორივე მხარემ გამოიჩინა ამისთანა სიმაღლე, განხეთქილება არ მოხდა, კომიტეტში შევიდნენ ორივე მხრიდან, რა თქმა უნდა, ერთი მათგანი უმრავლესობით.

ბევრს ეჭვი დაურჩა გულში, შეუძლებელი იქნება მუშაობა, ხელს შეუშლით ერთმანეთსო. ჩემი უკანასკნელი შთაბეჭდილება ვერ ამართლებს ამ ეჭვს. ყველა გრძნობს მომენტის სიდიადეს და ეს გრძნობა შექმნის საერთო, მეგობრული თანამშრომლობის ნიადაგს.

5. დიდი ნება.

კონფერენციის მეორე დღეს ისე უყურებდენ ერთი-მეორეს გუშინდელი „მოსისხლე მტრები", რომ სიზმარში გეგონებოდათ თავი...

მეორე დღესვე მოვიდა თფილისიდან ცნობა ოსმალების გამოლაშქრების და მოსალოდნელი მობილიზაციის შესახებ. ეს ცნობა მეხივით გავარდა ამხანაგების წრეებში, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა სულიერი დარაზმვა. ვიღას ახსოვდა, რაც იყო... აღარავინ აღარ გრძნობდა თავს პატარათ. დიდდება ყოველთვის პატარა პიროვნებაც, როცა ის ებმება დიდ საზოგადოებრივ საქმეში. მთელი პარტიის და მთელი სახელმწიფოს სიყვარული იქცევა იმ საქმეთ, რომელიც იზიდავს ყველას ქვემოდან. უცებ დავივიწყეთ „სამარცხვინო და თავის მომჭრელი" ფაქტები ერთმანეთის წინააღმდეგ. ზნეობრივმა მთლიანობამ დაიკავა თავისი ადგილი, ძველი და კარგი მეგობრები გეგონებოდათ რომ შეგეხედათ.

თავმომწონეობით ვფიქრობდი ამ დროს, რომ ჩვენ პატარა ხალხს არაფერი არ გაუტეხდება დიდი გაჭირვების დროსაც. ის არ დაუშვებს და ძირს არ დააგდებს ისტორიისგან მოცემულ დროშას... საქართველოს დემოკრატიას წინ უდგას ბოლშევიზმი, რომელიც კავშირს ეძებს ჩამორჩენილ აზიაში და ზურგიდან აწვება ევროპას იმპერიალიზმი, რომელიც აზიურ ჩამორჩენას ამჯობინებს მთელ კაცობრიობისთვის. არასოდეს კი არ შეურიგდება საქართველოსგან მოპოვებულ სოციალისტურ-დემოკრატიულ გზას.

ვლ. კოროლენკოს ერთ მოთხრობაში („Огоньки") დიდი ხნის დაღლილი მოსიარულე იმედის თვალით იყურება წინ,—„а впереди все таки огоньки"-ო, სწამს. დიდი ხნის ბრძოლით დაღლილ საერთაშორისო დემოკრატიას ამისთანა პატარა სინათლესავით ესახება ეს პატარა კუთხე. საქართველო გადაიქცა მსოფლიო დემოკრატიის წინა პოზიციებზე მებრძოლ რაზმათ. ასეთი იყო ალბათ ისტორიის ნება. ამ დიდმა ნებამ არ შეიძლება დიდი სული არ ჩაგვიდგას, რაც უნდა პატარები ვიყოთ თავისთავათ, და რა აუტანელიც უნდა იყოს ჩვენი სხვადასხვანაირი გაჭირვება დღეს. ეს საერთო გრძნობა გაუწყვეტელ ძაფათ იბმება საქართველოს შუაგულიდან მის ნაპირებამდის და მისი ნაპირებიდან შუაგულამდის.

ს. დევდარიანი.

სამაზრო კომისარმა ხუმუტიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეგრამით აცნობა, რომ მის მიერ შეპყრობილია ავაზაკი ტერენტი ჭყადუა.

◆ **ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა.** მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი საზღვარგარეთიდან ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის შესახებ. თანახმად პროექტისა განზრახულია შემდეგი საგნების შემოტანის აკრძალვა: 1) თამბაქო და თამბაქოს ყოველგვარი ნაწარმოები, 2) გამხმარი ხილი, 3) მაგარი სასმელები, 4) ხელოვნური წყლები, 5) ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, 6) ძვირფასი ქსოვილები 7) ძვირფასი ლორნეტები, ბინოკლები, 8) ოქროს საათები, 9) აბრეშუმის ქსოვილები, 10) დუხი, ოდეკოლონი და სხვა, 11) აბრეშუმის, მაუდის ტანისამოსნი ქალისა და კაცის, 12) ქალის შლიაპები ფრთებით და ყვავილებით შემკულნი, 13) ძვირფასი ქოლგები, 14) ძვირფასი ფრთები და ყვავილები და სხვა.

◆ **რადიო ტელეგრაფის ქსელის მოწყობა.** იტალია-კავკასიის საბანკოსნო ბანკის თბილისის განყოფილებამ ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს წარუდგინა საქართველოში რადიო ტელეგრაფის ქსელის კონცესიის პროექტი. შეთანხმების პროექტი 15 მუხლში არის ჩამოყალიბებული. თანახმად პირველი მუხლისა დამფუძნებელ ჯგუფს ეძლევა განსაკუთრებული უფლება საქართველოში რადიო ტელეგრაფის და რადიო ტელეფონის სადგურების და გომისა 30 წლის განმავლობაში. თანახმად მესამე მუხლისა დამფუძნებელ ჯგუფს ეძლევა კონცესია დასადგმელად და საექსპლოატაციოდ ერთი რადიო სადგურისა თბილისში, რომლითაც შესაძლებელი იქნება თბილისიდან იტალიასთან პირდაპირი დამოკიდებულების დაჭერა. თანახმად მეექვსე პუნქტისა 30 წლის გასვლის შემდეგ რადიო სადგურები ყოველგვარ ჯილდოს გადუხდელად მთავრობის სრულ გამგებლობაში გადადის. თანახმად მეორე მუხლისა მთავრობას უფლება ეძლევა გაუწიოს კონტროლი რადიო სადგურების მოქმედებას. თანახმად მეათე მუხლისა მთავრობა საზოგადოების შემადგენლობაში შედის.

◆ **იტალიის წარმომადგენელი სომხეთში.** იტალიის მისიიდან იუწყებიან: თბილისში მოვიდა სომხეთში დანიშნული იტალიის პოლიტ. აგენტი გორინი მდივნის დ—რ გარციის თანხლებით. გორინი წინად ტრაპიზუნდში იყო ელჩათ და სომხეთის და ქურთების საქმეებზე კარგათ არის გაცნობილი.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრი.** დღეს, წარმოდგენილი იქნება „ოტელლო". სამშაბათს, ნოემბრის 16-ს „მახვერალი".

◆ **სახელმწიფო ოპერა.** დღეს—„კარმენი„, ორშაბათს, 15 ნოემბერს—„ქეთო და კოტე", სამშაბათს, 16 ნოემბერს—„რიგოლეტო", ოთხშაბათს, 17 ნოემბერს—„მანონი".

◆ **გორის** სამასწავლებლო სემინარიის პირველ კლასში თავისუფალია 20-მდე სტიპენდია. სტიპენდიანტებს გარდა სტიპენდიისა მიეცემათ ბინა. მიღება გაგრძელებულია 1 დეკემბრამდის. სემინარია მოთავსებულია სურამში.

◆ **გორის ფონდი.** რედაქციამ მიიღო 8000 მ. სოფელ ტოხის კოოპერატივის გამგეობისაგან, გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

◆ **ქალაქის ელექტრონის** სადგური აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიღება ახალ აბონენტთა შეწყვეტილია და არავითარი განცხადება შეერთებაზე განხილული არ იქნება.

კრებები.

დღეს დილის 10 საათზე, მუშათა კლუბში (პლეხანოვის ქუჩაზე) დანიშნულია მბეჭდვითი საქმის კავშირის წევრთა საზოგადო კრება დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 3) შრომის ბირჟის შესახებ, 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5) საბჭოს წარმომადგენლების არჩევნები, 6) მიმდინარე კითხვები.

დღეს დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში საკონსტიტუციო წრეში მორიგ ლექციას წაიკითხავს პ. საყვარელიძე საკონსტიტუციო უფლებიდან, დასწრება შეუძლიათ არა სოციალ დემოკრატებსაც.

— დღეს საღამოს 5 ს. დან [illegible] წევრთა საზოგადო კრება კლუბის შენობაზე ახალ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევათ. კრება მესამედ ინიშნება და რამდენი წევრიც დაესწრება და ყოველი პირობის გარეშე კანონიერათ ჩაითვლება.

— დღეს, დილის 11 სა თზე სამეურნეო ბანკის დარბაზში (დამფუძნებელი კრების ქ.) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

მეჯლისის მოწოდება

ბათომის ოლქში ქიამალისტების მიერ გავრცელებული პროკლამაციებისა და თურქოფილური მოძრაობის გამო მეჯლისმა ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„ჩვენო ძვირფასო მამულიშვილნო, მოისმინეთ, რას გეუბნებათ თქვენი ნების გამომხატველი მეჯლისი:

სამუსლიმანო საქართველოს ფრიად გაუმრავლდნენ ათასი უპასუხისმგებლო პიროვნებანი, რომელნიც აღელვებენ ხალხს და ათასი ცრუ აღთქმებით ჰპირდებიან, რა არის, ყველას თვალები აუხვიონ და არევ-დარევა შეიტანონ თქვენში.

თქვენ შეგაშინეს და გასმინეს კიდეც, ვითომც საქართველოს მთავრობა მტერია თქვენი, ვითომც საქართველოს მთავრობა გაუქმებდეთ სჯულებს და რწმენის გულს მახვილით გიგმირავდნენ!..

მამულიშვილნო, ვისაც სჯერა ასეთი სიტყვა, ის ყოვლად დაბრმავებული იქნება! ნუ თუ დიად წარსულის შვილებს, სახელოვან მამა-პაპათა შთამომავლებს შეგშვენით ასეთ ზნამან სიტყვებს დაუჯეროთ, რასაც ბოროტი და ჩვენი ერის მტრები ანთხევენ?

მამულიშვილნო! თქვენ მიერ არჩეული და თქვენი უზენაესი სურვილების მატარებელი მეჯლისი ღვთისა და ქვეყნის წინაშე ფიცით ამოწმებს, რომ სტყუის, ვინც აგრე ამბობს, ის უთუოდ ხალხის მტერია!

მამულიშვილნო! ჩვენ გიგზავნით ჩვენს მოციქულებს და გახარებთ სასიხარულო ამბავს, რომ საქართველოს მთავრობამ რაც გვითხრა, რასაც დაგვპირდა იმ თავითვე, კიდეც ხელმტკიცედ აგვისრულებს: სამუსლიმანო საქართველოს ეძლევა ავტონომია, რაც უკვე აღნიშნულია დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად განმზადებულ კონსტიტუციის მე-120 მუხლში.

ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვამოწმებთ, რომ სამუსლიმანო საქართველოსთვის ეს სიტყვა „ავტონომია" არაა ცარიელი სიტყვა, რომ მეჯლისიც და სრულიად საქართველოს მთავრობაც მალე შეუდგება მთავარი გეგმის „შედგენას", თუ რა სახით და როგორი უნდა იყოს ჩვენი ავტონომია!

მამულიშვილნო! ჩვენ გვგონია, რომ ამ დიდ სიხარულს თქვენც სიხარულით მიიღებთ და ყველა ჩვენს მტრებს ფრთებს შევაკვეცავთ, რომ შეცდომაში არ შეგვიყვანონ!

გახსოვდეთ მარად, რომ თქვენ მარტონი არა ხართ, რომ თქვენ გყავთ უზენაესი მფარველი თქვენი, მეჯლისი, რომელიც პასუხისმგებელი იყო და იქნება ყოველს თქვენს ბედნიერებასა და უბედურობისა!

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ძმა ქრისტიანები მზათ არიან ჩვენი ჭირი და ლხინი ჩვენთან ერთად გაიზიარონ!

მაშ ფრთხილად, მამულიშვილნო!

ღმერთი ჩვენთანაა და საზოგადო გაჭირვებიდან, რომელიც ერთნაირად გვაწუხებს ჩვენც მუსლიმანებს და იმათაც, ჩვენს ქრისტიან ძმებს, ის გამოგვიყვანს, არ გაგვწირავს, როგორც არ გაგვწირა საუკუნეთა განმავლობაში!

მაშ ჩვენთან, მამულიშვილნო! ისმინეთ მეჯლისის სიტყვა და დარიგება!

ნუ ენდობით ცრუ და ამაღელვებელ ხმებს!

გახსოვდეთ, რომ ყოველი არეულობა, ყოველი უწესურად გადადგმული ნაბიჯი სახელს გიტეხავთ თქვენც, თქვენს მეჯლისსაც და რაც უარესია, ეს გამოიწვევს არეულ დარეულობას და იმდენ შიმშილსა და სილატაკეს რომ დღევანდელი გაჭირვებაც კი სანატრელი გაგვიხდება!

ღმერთი და კეთილგონიერება იყოს თქვენი მფარველი და წინამძღოლი, ჩვენო ძვირფასო მამულიშვილნო.

„სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი".

(გაზ. „სამუსლ. საქ.").

ხმა საყვირისა

ალსდექ მხედრობავ! აღიძარი ბრძოლის დაფდაფით!
თოფ-ზარბაზნებით სდარაჯობდე შენს სადარაჯოს!
შეგიხმეს მკლავი, ქუდი შენი აგევსოს ლაფით,
შენის სილაჩრით მტერმა შენმა თუ გაიმარჯოს!

გაშალე დროშა!
დროშა წითელი!
აღინთე გული თავისუფლებით!
ვაშა, ვინც სისხლით შეღებოს ველი!
ვინც საქართველო მოკირწყლოს ძვლებით!

ვაი შეთქმულებს! ვაი იმას, ვინც ომს გვიცხადებს!
ვინც რესპუბლიკის წინააღმდეგ მახვილსა ჰლესავს!
დაემხოს პირქვე, ვინც მონობის ხუნდებს გვიმზადებს,
ვინც ძმობის ნაცვლად მტრობასა და სიმუხთლეს სთესავს!

გავშალოთ დროშა!
როგორც ფრინველმა
აღვიგზნოთ გული თავისუფლებით!
დაიწკრიალოს სიკვდილის ცელმა!
წინ შევეგებოთ ფოლადის ხმლებით!

გ. ქუჩიშვილი.

მოწოდება

სამშობლო ჩვენი, თავისუფალი
განსაცდელშია! უნდა ხსნა, შველა
და, ვინც არაა სულით მუხთალი,
იმისთვის უნდა ზრუნავდეს ყველა!

რათ გვინდა ცოლი, რათ გვინდა შვილი,
მიწა, მამული, სახლი და კერა,
თუ მოგვიკვდება მშობელი ტკბილი,
ჩვენი სიცოცხლე და გულის ძგერა!

მაშ ბრძოლა, შრომა, შემოქმედება,—
ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი
და, როცა ყველა ამოქმედდება,
ჩვენც გაგვინათებს სხივნი მზისანი!

ვ. რუხაძე.

მომრიგებელ მოსამართლეთა მოვალეობანი პროვინციაში

ამონაწერი მთავრობის დადგენილებიდან. თანახმად იუსტიციის მინისტრის მოხსენებისა რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ოქტომბრის 23-ისა მიღებულია შემდეგი დადგენილება: „მომრიგებელ მოსამართლეს პროვინციაში დაევალოს. იმ თემში, რომელიც მოშორებულია სამომრიგებლო სასამართლოდან ექვს ვერსტით საქმეების გასარჩევად მივიდეს ადგილობრივ კვირაში ერთხელ მაინც. ადგილობრივი თემი ვალდებულია მოსამართლეს მისცეს თავისი ხარჯით ნატურით გადასასვლელი საშუალება." გაუწყებთ რა ამას გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამაზრო ერობებს და თემებს წინადადება მიეცათ ასეთ შემთხვევებისათვის აღმოუჩინონ მოსამართლეებს დახმარება გადასასვლელ საშუალებით მოწოდებით ადგილობრივ საქმის გასარჩევად საჭირო ბინის მიჩენით. შედეგი ამ განკარგულებისა მაცნობეთ.

სახალხო გვარდია

სახალხო გვარდია რევოლუციონურ-პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციაა. როგორც სამხედრო ორგანიზაცია ის სუსტი იყო პირველ ხანებში თავის წარმოშობისა. მაგრამ სამაგიეროთ სახ. გვარდიელები იდგენ პროლეტარულ-სოციალისტურ და კლასიურ ნიადაგზე, მათში იყო ჩანერგილი ორგანიზაციული ბრძოლის მეთოდები და მწვავე მდგომარეობას ჩვენი ქვეყნისას ისინი საუცხოვოდ ულებდენ ალღოს. ამით მისი თვისება რიცხოვნობით იქცა და რიცხვით მცირე გვარდია მაინც ძლიერი გამოდგა შინაურ თუ გარეშე ფრონტებზე მრავალ რიცხოვან მტრებთან ბრძოლაში, რაც მან არა ერთხელ დაამტკიცა. საქართველოს დემოკრატიამ თავის წიაღიდან, ქვეყნის განსაცდელის და განადგურების დროს წარმოშვა შეიარაღებული ძალა. მაშინ პირველ რიგში იდგა თავდაცვა, ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნა და თავისუფლების შენარჩუნება. ამიტომ მესამე წელია, რაც ხალხის ღვიძლი შვილები ატარებენ წამების ჯვარს გოლგოთაზე ასვლამდე. სახ. გვარდიის ორგანიზაციაში ორი სახეა. მუდმივი გვარდიის და სარეზერვოსი. სარეზერვოზე აქ ლაპარაკი არ მოგვიხდება, რადგან ისინი დიდი პროგრესია ჩვენ სამხედრო ცხოვრებაში სახალხო შეიარაღებაზე გადასასვლელათ. ამასთან ის და მშრომელი ხალხი, ღირებულების შემქმნელი ერთი და იგივე ცნებაა. საჭიროა მხოლოდ გვარდიის მეორე სახეს მივაპყროთ ყურადღება. მუდმივი გვარდია ჯარის რევოლუციურ სახეს ატარებს. მართალია, იქ დიდი გადარჩევით ღებულობენ ხალხს სამსახურში, მაგრამ ეს არ შველის საქმეს. გუშინდელი მუშა, რომელიც კარგი სოციალისტიც არის, შეგნებულიც და საიმედოც, დროთა განმავლობაში ხიშტის ქვეშ მუდმივათ ყოფნით მისი პსიქოლოგია იცვლება და რამდენიმე ხნის განმავლობაში იმას ვერც კი სცნობ.

ჩვენ უნდა ვეცადოთ გვარდიაში რაც შეიძლება ნაკლებ შეიპაროს სამხედრო კასტის სული და რაც შეიძლება მეტად იყოს დაცული პროლეტარული სულიერი განწყობილება. ამიტომ უნდა შეიცვალოს ორგანიზაცია გვარდიის მუდმივ ნაწილებისა. სამხედრო ვარჯიშობასთან და მუშაობასთან ერთად მასში სხვა მეცადინეობა უნდა იქნას შემოღებული. თუ დღეს სახ. გვარდია სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციაა, ჩვენი მიზანია ის გახდეს სახალხო-პოლიტიკურ ორგანიზაციის გარდა სამეურნეო და კულტურულ ორგანიზაციათ.

ჩვენის აზრით, როგორც კულტურულ სფეროში ისე სამეურნეო მუშაობაში გვარდია ძლიერი იქნება ისე, როგორც ძლიერი იყო ის აქამდის პოლიტიკური შეგნებით და ფიზიკური ძალით.

ამ მხრით უნდა იქნეს მიპყრობილი დღეს ყველას ყურადღება, რადგან მთელი ჩვენი საშინაო და უმთავრესად საწარმოო ეკონომიურ-ფინანსიურ სფეროში დღეს ნათლად გადაიშალა ჩვენ თვალწინ. სახ. გვარდია მოწინავე იყო რევოლუციონურ ბრძოლაში, მოწინავე უნდა დარჩეს ის კულტურულ-სამეურნეო დარგშიაც. ეს მძლავრი ორგანიზაციაა და ამას ადვილათ შესძლებს ვიდრე სხვა რომელიმე. დღეს კი აუარებელი სახელმწიფო და ხალხის ქონება იხარჯება ჯარის, გვარდიის შენახვაზე, რაც აღარიბებს და კრიზისს აახლოებს ჩვენს ქვეყანას. ეს ხარჯები მაშინ შემცირდება და ზნეობრივ-გონებრივი მხრივ გვარდიელების ამაღლება და დაუახლოვდება წმინდა პროლეტარულ აზროვნებას, როგორც სამეურნეო მუშაობა ისე კულტურული არის დაწყებული, მაგრამ ის ვიწრო ფარგლებიდან დღემდის ვერ გამოსულა და თავისი დიდი მიზნების მეათედიც ვერ განუხორციელებია. ფრონტზე ბრძოლა, უკან დაბრუნებისას შრომა და ცოდნის შეძენა, აი რა არის დღევანდელი დღის ლოზუნგი. გვარდიის მუდმივ ნაწილებში ამ დაწყებულებას დიდი ნიადაგი აქვს მომზადებული საჭიროა მხოლოდ მისი გამოყენება. მთავარმა შტაბმა და თვით მთავრობამაც ამ გარემოებას უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება და ხელი შეუწყოს შრომის პრინციპის შემოღებას გვარდიის და აგრეთვე ჯარის ნაწილებშიც რამდენადაც ეს შესაძლოა. ევროპის და ჩვენი კაპიტალისტები დაინტერესებულ არიან ჩვენი ეკონომიური ნიადაგზე დამარცხებით. სპეკულიანტები ამას აგვირგვინებენ. ასეთ მომენტში ყოველივე ჩვენგანი უნდა გამსჭვალული იმის შეგნებით, რომ საჭიროა თავისუფალ დროს რამე ღირებული შექმნა ქვეყნისთვის. იარაღთან ერთათ ჩვენ შევძლებთ ჩაქუჩი და ნამგალი ვატაროთ. ძნელია ამ როლის შესრულება, მაგრამ როცა ხალხის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს, მაშინ ამაზე ლაპარაკი მეტია. თუ ამ გზით იქნება ჩვენი გეზი მიმართული, მაშინ ჩვენი შრომა აუცილებლათ ნაყოფს გამოიღებს და რესპუბლიკის სამეურნეო შენებლობაში გასვლას ხელს შეუწყობს.

გვარდიელი დ. ო—ძე.

უცხოეთი

შვეიცარია

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია და მესამე ინტერნაციონალი

შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბერნერ ტაგვარტი" სწერს: მოსკოვის მიერ წამოყენებული პირობების მიზანია მოისპოს შვეიცარიის სოციალ დემოკრატიული პარტია. მოსკოვი კი არ მიისწრაფის ყველა ქვეყნების რევოლუციონურ პარტიების შეერთებისაკენ ერთ მომქმედ ინტერნაციონალში, არამედ მას სურს ჩაახრჩოს პარტიები და დააწესოს მასებზე დირექტორიის საერთაშორისო მართობა.

საფრანგეთი

მქსოველები და ინტერნაციონალი

სექტემბრის ბოლო რიცხვებში შედგარმა მუშა მქსოველთა ყრილობამ 5256 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 377 ხმისა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებს შრომის საერთაშორისო კონფედერაციას. იმავე უმრავლესობით ყრილობამ უარყო მესამე ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება.

შეერთებული შტატები.

სოციალისტების გამარჯვება ნიუ-იორკის შტატში.

როგორც თავის დროზე იყო პრესაში გამოქვეყნებული, ნიუ-იორკის შტატის ქვედა პალატიდან შარშან გამორიცხეს 5 სოციალისტი დეპუტატი. ამ გაუგონარ ძალადობას ამერიკელები ნებისყოფაზე იმით ასაბუთებდნენ, რომ სოციალისტ-დეპუტატების შეხედულებები შეუთანხმებელია ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფოებრივ წესწყობილების ძირითად პრინციპებთან.

სექტემბრის შუა რიცხვებში ნიუ იორკის, ბროოკლინის და ბრონქსის 5 ოლქში მოხდა ხელ-ახალი არჩევნები ცარიელ დეპუტატთა ადგილების შესავსებათ. უძლიერესი ბურჟუაზიული პარტიებმა დემოკრატებმა და რესპუბლიკანელებმა წამოაყენეს საერთო სია და შეერთებული ძალებით აწარმოებდნენ კომპანიას ძველ 5 სოციალისტ-დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებმაც კვლავ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურა. მიუხედავათ ამისა, სოციალისტებმა გაიმარჯვეს თავის შეერთებულ მტრებზე და მიიღეს დიდი ხმის უმრავლესობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატ-რესპუბლიკანურ ბლოკის სამარცხვინო დამარცხებას დიდათ შეუწყო ხელი იმ აღელვებამ, რომელიც გამოიწვია იმ ძალადობის აქტმა ზოგიერთ არადემოკრატიულ წრეებში, რომლებშიც ჯერ კიდევ საბოლოოთ არ აღმოხვრილა უფლების და დემოკრატიის პრინციპები. როგორც გადმოგვცემს „ფოსის გაზეთის" კორესპონდენტი, ამ სოციალისტურ დეპუტატებზე ძალადობის აქტის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტი განაცხადა რესპუბლიკანელების ყოფილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სუგესმა. პროტესტი განაცხადა აგრეთვე ნიუ-იორკის ნაფიც-მსაჯულთა საბჭომ.

გერმანია

რეაქცია ბავარიაში.

„ფრაიჰაიტი" სწერს: რეაქცია თავს იფარავს ფედერალიზმის დროშის ქვეშ და იკეთებს თავის საქმეს ბავარიაში. თითქმის სრული დამოუკიდებლობა, რომლის მიღებაც სურთ რეაქციონერებს ბავარიისათვის, უნდა შექმნას რეაქციას დაუბრკოლებლივ განვითარების პირობები. ბავარის სახალხო პარტიამ მიიღო თავის უკანასკნელ ყრილობაზე რეზოლუცია, რომელიც იძლევა ნათელ წარმოდგენას ბავარიის რეაქციონერების საიდუმლოებათა შესახებ. რეზოლუციის დასაწყისში ისინი აცხადებენ, რომ მომხრენი არიან „გერმ. ფედერ. იმპერიის", შემდეგ კი ისინი თხოულობენ, რომ კერძო სახელმწიფოებს, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიან, მიეცეთ უფლება თვით გამოარკვიონ თავიანთი მართვა-გამგეობის ფორმა და თავისი კონსტიტუცია. ეს, რასაკვირველია, საბოლოოდ გაუხსნიდა ხელებს ბავარიის მონარქიის აღმდგენელებს. ისინი იმასაც მოითხოვენ, რომ ცალკე სახელმწიფოებს მიეცეს სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების უფლება. კერძო სახელმწიფოების ფინანსიურ-ეკონომიურმა უზენაესობამ გადასახადების და წყლის ძალების ექსპლოატაციის მხრივ უნდა გაუმაგროს ფედერალიზმს საფუძველი: ამასთანავე ბავარიის ფედერალისტები თხოულობენ ყოველივე სახელმწიფოსთვის კერძოთ კონტიგენტის შემოღებას და შეიარაღებულ ძალების გამგებლობის უფლების კერძო სახელმწიფოებზე გადაცემას. ყოველივე ამას ბავარიის რეაქციონერები ეძახიან „საღ ფედერალიზმს".

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მიიღო ასეთი განმარტება განსაკუთრებული რაზმის უფროსისაგან:

„მოგახსენებთ ახსნა განმარტებას იმ განცხადების საპასუხოთ, რომელიც მოთავსებულია საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენლის კ. ნ. შეინმანის მიერ გაზეთ „კომუნისტის" № 19. არც ერთი პირი საბჭოთა მისიის მიერ მოწყობილ დღესასწაულზე, დამსწრე იყო ის ზეიმზე, მიმავალი თუ უკან დაბრუნებული, დაპატიმრებული არ ყოფილა, მით უმეტეს შეურაცხყოფას ან ცემას ადგილი არ ჰქონია.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება დაკავშირება დაპატიმრების დღესასწაულთან იმ ორი სამი პირის, რომელსაც იმ დღეს, ჰქონდა ადგილი და რომლების დაპატიმრება რაზმს დიდი ხნიდან ჰქონდა გადაწყვეტილი.

ალექსანდრეს ბაღში თანამშრომლებმა ნახეს ვინმე ახუნდოვი და ალი ნაგიზადე. მათ შესახებ აგენტურას ჰქონდა ცნობები. ისინი მოიყვანეს რაზმში.

რომ ამ დაპატიმრებას რაიმე კავშირი არ მოეპოვებათ დღესასწაულთან, თანახმათ თქვენის ბრძანებისა ისინი განთავისუფლებულნი იქნენ.

შუაღამის მესამე საათზე შეჩერებულ იქმნა უფანრო ავტომობილი, რომელშიაც იჯდა კერძო პირი. ავტომობილი აღმოჩნდა საბჭოთა მისიის, ვინაიდან ავტომობილებს არ აქვს უფლება კერძო პირების ტარების და თან უფანროთ, შოფერს ჩამოერთვა პირადობის მოწმობა და მეორე დღეს გადაეგზავნა წარმომადგენლობას.

სოლოლაკის და პეტრე დიდის ქუჩების კუთხეში თანამშრომელმა შენიშნა ვინმე უცნობი, ჯარისკაცის შინელში, შეკითხვაზე ვინ არის—უცნობმა უპასუხა აღელვებით: რა იმის საქმეა და ვინ არის ის თვითონ". პირადობის მოწმობის მოთხოვნაზე მან ხელი გაიწოდა რევოლვერისაკენ, აღმოჩნდა ის მთვრალი. როცა უცნობმა ხელი შეახლო მის რევოლვერს, სისტემის მაუზერის, თან დაიძახა, რომ ის არის ხელშეუხებელი პიროვნება. თანამშრომელმა მას ხელი შეუშალა რევოლვერის გაშიშვლებაში. უცნობმა ამოიღო პირადობის მოწმობა, ის აღმოჩნდა საფაროვი, რუსეთის მისიის წევრი, მისი განცხადებით, თუმცა, როგორც კი ეს განაცხადა საბუთიც აღარ გაგვიშინჯავს.

საფაროვი იმ წამსვე იქნა განთავისუფლებული. ერმოლოვის ქუჩით მოდიოდა ოთხი კაცი ღამის ორ საათზე ყვირილით და ლანძღვა-გინებით განსაკუთრებულ რაზმის მისამართით.

ისინი შეაჩერა და გამოკითხა ვინაობა თანამშრომელმა. ერთმა იმათგანმა გვარათ ვინიჩენკომ, უპასუხა, რომ ის აგინებს რაზმის უფროსს და არა რაზმს, იმიტომ, რომ ის იჭერს მათ ძმებს. მათ მოეთხოვათ პირადობის მოწმობა.

როგორც კი გამოირკვა, რომ ისინი არიან საბჭოთა მისიის წარმომადგენლები, იმ წამსვე ჩამოეთხოვნენ, მათ, მხოლოდ სთხოვეს ქუჩაში ყვირილის შეწყვეტა.

ამ მოხსენებიდან თქვენ დაინახავთ რამდენათ ჰქონდა ადგილი 7 ნოემბერს განსაკუთრებულ რაზმის მიერ რაიმე ექსცესებს".

მოწოდება

ყოფილ პოლიტიკურ საქმეზე დასჯილთადმი

ამა წლის 10 ოქტომბერს შემდგარმა ყოფილ პოლიტიკურთა წინა წარმა კრებამ დაგვავალა მოვიწვიოთ ფართო კრება ამხანად თბილისში მყოფ პოლიტიკურ საქმეზე დასჯილ ამხანაგებისა. მიზანი შეკრებისა არის ხელახლად შეხვედრა ამხანაგებთან, გაზიარება ერთმანეთისადმი აზრთა და შექმნა ისეთი ორგანოსი, რომელიც შეაგროვებდა მასალებს წარსული ჩვენი ბრძოლისას.

ციხე, ციმბირი, კატორღა, მთელი გრძელი ეტაპი ჩვენი პოლიტიკური ბრძოლისა რჩება ღირსშესანიშნავი.

გაივლის დრო, და თუ არ იქნა შეკრებილი ყველა ის მასალები, ყველა მოგონებანი, რომლებიც ყველა ჩვენთაგანს ამ ჟამად ახსოვს, არ დარჩება არავითარი მასალა, არავითარი მოგონება იმ საშინელი ბრძოლისა, იმ ტანჯვა წვალებისა, როგორიც გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ.

დღეს შეიძლება ეს მოგონებანი არ იყოს საინტერესო, რადგანაც ჯერ კიდევ წარუშლელია ყველა ჩვენთაგანის მეხსიერებაში ახლო წარსული ჩვენი ბრძოლისა.

შეიძლება ჩვენი მასალები სუსტი იქნეს, მაგრამ მათი აღნიშვნა, მათი დატოვება მომავალი თაობისათვის არ გვგონია არ იქნეს საინტერესო.

ამ მიზნით ჩვენ ვიწვევთ ყოფილ პოლიტიკურ დასჯილთა კრებას **კვირას 21 ნოემბერს დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში.**

იმედია, ამხანაგები დაესწრებიან ამ კრებას და გადაწყვეტენ ყველა იმ კითხვებს, რომლების გადაჭრა და მოგვარება საინიციატივო ჯგუფს მიაჩნია აუცილებელ საჭიროებათ.

კომისიის წევრები: **არჩილ რუხაძე, დ. ქარცივაძე, ზ. ჩიქვილაძე.**

პროფესიონალურ-კავშირებში

მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

11 ნოემბერს შემდგარმა პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებულმა სხდომამ მოისმინა კომისიის მოხსენება, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებულმა სხდომამ დაავალა გამოერკვია,—შესაძლებელია თუ არა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა სურსათ სანოვაგისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების მოწოდებით. ამ საკითხის გამოსარკვევათ მას 10 დღის ვადა ჰქონდა. კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მობილიზაციის გამოცხადებისა და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო პურის რაციონის გადიდება შეუძლებელი ხდება ჯერჯერობით. რაც შეეხება ნავთს, შეშას, ქართოფილს და სხვას, სამინისტრომ აღუთქვა კომისიას, რომ ამ საგნების რაოდენობა, რომელიც სამინისტროს აქვს, ამ დღეებში დარიგდება. მიღებულია ზომები—სურსათ სანოვაგის შესაძენათ მუშებისათვის. ამავე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავრობა სუბსიდიას აძლევს კოოპერატივებს იმ მიზნით, რომ მათ მოაწესრიგონ მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მოწოდება. ამ კითხვაზე გაიმართა ხანგრძლივი კამათი. ორატორთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ შექმნილ სამარ პირობების გამო ეს საკითხი მოიხსნას დროებით, სანამ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდეს. შრომის მინისტრის ამხანაგი ბახტაძე მოითხოვს, რომ საკითხი აქვე გადაჭრას და ერთხელ და სამუდამოთ ითქვას, რომ ყოველგვარი მომატება დამღუპველია. ის აღნიშნავს, რომ სამინისტრო ყოველივე ღონეს მიმართავს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მის განცხადებიდან გამოირკვა შემდეგი: ყველა კოოპერატივებს, რომელნიც ემსახურებიან სახელმწიფო დაწესებულებებს, მთავრობამ მისცა 40 მილიონი მანეთი. სამინისტროს ეხლა აქვს 300 საჟენი შეშა. 20—25 ნოემბრისთვის იქნება 600 საჟენი. ორშაბათიდან დაიწყება მუშებისათვის ერთი მერვედი შეშის მიცემა. სამინისტროს მზათ ქონია 7000 საჟენი შეშა, მაგრამ ის ვერ მოუტანიათ სადგურამდე. პირველ იანვარს სამინისტროს ექნება 2000 საჟენი შეშა. სამინისტროს შეუძლია 10 გირ. ქართოფილი დაურიგოს მუშა-მოსამსახურეთ. მიღებულია ზომები, რომ შაქარი სისტემატიურათ რიგდებოდეს. სამინისტროს აზრით უნდა დარიგდეს ოჯახზე თითო ფუთი ნავთი თვეში.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: 1) საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე შექმნილ სამხედრო მდგომარეობის გამო, რომელიც განადგურებით ემუქრება ჩვენს რესპუბლიკას და რომლის თავიდან აცილება მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკისაგან მთელი ცოცხალი ძალების სამხედრო პირობებში ჩაყენებას, დიდ ფინანსიურ და სასურსათო ხარჯს,—ამიტომ აღმასრულებელი კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა აუცილებლათ სცნობს ეს საკითხი დროებით მოიხსნას, 2) რომ კოოპერატივებს შეძლება მიეცეთ შეიძინონ მუშებისათვის პირველ საჭიროების საგნები, მთავრობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს მათ სუბსიდიის მიცემით, ხოლო პროფ. კავშირებმა გადასცენ მათ კავშირში არსებული თავისუფალი თანხა, 3) დაურიგდეს მუშა მოსამსახურეთ იაფ ფასებში ნისიათ შეშა და მოეწყოს მათი მუშების ბინაზე გადაზიდვა, 4) მოწვეულ იქნას სეკრეტარიატის, აღმასრულებელ კომიტეტისა, გამგეობისა და საქარხნო კომიტეტების საერთო კრება. 5) მიენდოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სეკრეტარიატის პრეზიდიუმს მოწოდებით მიმართონ საქართველოს მუშა მოსამსახურეთ აღნიშნულ საკითხის შესახებ.

ამის შემდეგ შესდგა სეკრეტარიატის მორიგი სხდომა.

კოოპერატივ „აღორძინების" შესახებ.

კოოპერატივ „აღორძინების" წარმომადგენელმა მოახსენა სეკრეტარიატს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმყოფება დღეს „აღორძინება". მას არ ქონია საქონელი და არც თანხა, რომლითაც შეეძლოს შეიძინოს პირველ საჭიროების საგნები. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, მას დახურვა მოელის. ამიტომ წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე, სთხოვოს მთავრობას, რომ ხსენებულ კოოპერატივს მიეცეს სესხი 20—30 მილიონ მანეთამდე. სეკრეტარიატმა აუცილებლათ სცნო „აღორძინების" დახმარება და ამ მიზნით არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას სესხის მიცემის შესახებ. კომისიაში შედიან: ბერეჟიანი, საფარიანი და ერთიც კოოპერატივ „აღორძინების" წარმომადგენელი.

მუშების სათანადო კავშირში ჩარიცხვის შესახებ.

სეკრეტარიატის პრეზიდიუმმა გამოარკვია, რომ ლითონზე მომუშავეთა ჩაწერილი არიან 156 მუშები, რომელთა შორის ლითონზე მომუშავენი არიან მხოლოდ 9 კაცი; დანარჩენები მუშაობენ სასურსათო საქმეზე. ამის გამო პრეზიდიუმის აზრით ესენი ჩაწერილ უნდა იქნენ სურსათზე მომუშავეთა კავშირში. სეკრეტარიატმა სამართლიანად სცნო პრეზიდიუმის დადგენილება.

მუშათა წარმომადგენელი ქალაქის საბინაო განყოფილებაში.

პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლად ქალაქის საბინაო განყო-

ფილებში სეკრეტარიატმა დანიშნა მ. გოგუაძე. მისი კანდიდატებად ხართიშვილი და იობაშვილი. გარდა ამისა შრომის სამინისტროს წარმომადგენლის წინადადებით სეკრეტარიატის პრეზიდიუმს მიენდო შრომის სამინისტროს წარუდგინოს 15 კონტროლიორთა კანდიდატების სია.

იაფ ფასიანი სასადილოების გახსნის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ განზრახულია მუშებისათვის იაფ ფასიანი სასადილოების გახსნა: ნაძალადევში, ვერაზე, რუსთაველის პროსპექტზე, ერთობის უბანში, ორთაჭალაში, ნავთლუღში და სხვა მუშათა უბნებში. უნდა შედგეს კომისია, რომელიც დაათვალიერებს იმ ბინებს, რომელნიც გამოსადეგი იქნებიან ხსენებულ სასადილოებისათვის. კომისიაში შევლენ ქალაქის 2 წარმომადგენელი, 3 კოოპერატივთა კავშირიდან და ერთიც სეკრეტარიატიდან. ეს კომისიაც მოაწყობს ამ საკითხებს, რომელიც ეხებიან ამ სასადილოების გახსნის ირგვლივ. სეკრეტარიატიდან კომისიაში არჩეულ იქმნა ამხ. ბიბილეიშვილი.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაზე 1920 წლ. ნოემბრის 19 განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე პავლე სანდრაშვილის გიორგი და აბრამ ყაკაშვილებთან მამულის თაობაზე. 2) საქმე ლეონტი ზანიძის მარიამ ჯაჯანიძესთან, ანნა და ოლღა თედორაძეებთან ადგილის დაცლის თაობაზე. 3) საქმე იულია როზენშტენგელის ვასილი ბაბასანიანცთან ბინის დაცლის თაობაზე. 4) საქმე ქიამილ გადჟი ოღლი შახშაევის გიტლი შაპსონთან ბინის დაცლის თაობაზე. 5) საქმე ზურაბ ნადირაშვილის გარდაცვლილ ილიკო ნადირაშვილის ობლების და ქონების მოურავის ანნა კვირიკაშვილთან ადგილის და 3955 მან. თაობაზე. 6) საქმე იოსებ და ანდრია ხიზანაშვილების გიო ხიზანაშვილთან სახლის სადავოს თაობაზე. 7) საქმე ელენე და ელისაბედ სულხანიშვილების ემილია, იულია და ივანე კაპანებთან და ფრანც მაშუკელთან ბინის დაცლის თაობაზე. 8) საქმე გიორგი ჯაფარიძის ოლღა მიქელაძესთან 3500 მანეთის თაობაზე. 9) საქმე ლეონიდ კარლოვის და თედორე მოროზოვის სავაჭრო სახლთან „სოვრემენიკ“-თან ფულების თაობაზე. 10) საქმე სავაჭრო სახლის „სოვრემენიკის“ თედორე მოროზოვთან ფულების თაობაზე.

დედების და ბავშვების დამცველი საზოგადოება

ეკონომიური კრიზისი და უკიდურესი მდგომარეობა, დედების და ბავშვების დამცველ საზოგადოებას უქმნის დიდ გამოცანას, რომ როგორმე დაიცვას ბავშვები ამ საშინელ მდგომარეობიდან. წარსულ წელს არ იყო ისეთი შემთხვევები, როგორც წელს არის. აი მაგალითად: რამდენიც დედებმა თავიანთი ბავშვები მოიყვანეს ამ საზოგადოების კანცელარიაში, რომ მიეღოთ, მათ განაცხადეს: „ეხლა გვიან არის და ჯერ უადგილოთ“ იმათ დასტოვეს ბავშვები და გაიქცნენ. ასე დატოვებული ბავშვი არის 6. 2 წ. და 5 წ. ამ ჟამათ „ორთაჭალის თავშესაფარში“ იმყოფება 200 ბავშვი 4—12 წლ. „საბავშვო კლუბში“, „ბავშვთა სახლში“ ყოველ დღე იკრიბება 200—300 ბავშვი.

მთელი გასავალი ამ საზოგადოებისა ყოველ თვიურად აღემატება 1,000,000 მ., რომელსაც არავითარ შეღავათს არ ღებულობს არც სახელმწიფოსაგან და არც ქალაქისაგან. მთელი შემოსავალი არის დაყრდნობილი მარმოევის აბანოზე, რომელსაც შემოაქვს ყოველ თვიურად 3,000,000 მ.

საზოგადოების გამგეობამ მიმართა სხვადასხვა დაწესებულებებს დახმარებისათვის. თანაგრძნობა დიდი იყო. საზოგადოება „ჩემიმ“ შემოსწირა 2,000,000 მანეთი, რომელთაც ძლიერ შეამსუბუქა ბავშვთა და დედების დამცველ საზოგადოების მდგომარეობა.

გამგეობამ გადასწყვიტა, რომ შემოწირულებით დაფარონ გასავალი ამ საზოგადოების. სურსათის საყიდლათ [illegible] საერო 6,000,000 მ. სახელმწიფო ბანკმა მისცა დიდი შეღავათი ჩვენს საზოგადოებას და მოგვცა სესხად 3,000,000 მ., გორის ერობამ შემოსწირა 100 ფუთი ხორბალი და ოზურგეთის ერობამ 100 ფუთი სიმინდი. დედების და ბავშვების დამცველ საზოგადოების სასარგებლოთ 24 ნოემბერს სახაზინო თეატრში გაიმართება დიდი საღამო, ქიაჩელის, ხოდატოვის და ლეონტოვიჩის მონაწილეობით. ამ დღეს იქნება [illegible] ფულის შეკრება. ქ-ნ გაბაშვილის თავმჯდომარეობით 28 ნოემბერს დილიდან 5 საათ. ქართულ კლუბში შესდგება ლატარია-ალეგრა, 5 საათ „ფაიფ კლოკ“. ქ-ნ კურიხინის და ჯამის დასის მონაწილეობით 1 დეკემბერს სახაზინო თეატრში გაიმართება სიმბოლური კონცერტი ბიროვის, ბელოუსოვის და სიბორის მონაწილეობით. ალეგრის და ლოტარიეის მოსაწყობად ხაზაკის მოგროვება აქვს მინდობილი განსაკუთრებულ კომისიას.

X.

ს.-დ. პარტიაში

ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიის დადგენილება.

11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე შესდგა საკონტროლო კომისიის კრება. კომისიამ იქონია მსჯელობა ამ ბოლო ხანებში ჩვენ პარტიაში შექმნილ მდგომარეობაზე — რაიცა გამოიხატა ზოგიერთმა ყოვლად შეუფერებელ შინაარსით და კილოთი დაწერილ წერილებში, რომლებიც მოთავსებული იყო როგორც გაზეთ „სხივში“, ისე „ერთობაში“. საკონტროლო კომისია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამის შესახებ და აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება და განვითარება დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენი პარტიის მთლიან არსებობას და მუშაობას. იღებს რა მხედველობაში ერთის მხრივ იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი აქვს პარტიაში არსებულ ორ ჯგუფ შორის და რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს პრინციპიალურ ხასიათის უთანხმოებათ, მეორეს მხრივ ითვალისწინებს რა ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიურ მძიმე მდგომარეობას, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი პარტიისაგან იმ ფრიად პასუხსაგებ მომენტში ერთ მთლიანს და რკინის დისციპლინით შეკრულ მოქმედებას; და დარწმუნებულია რა იმაში, რომ არსებულ უთანხმოებას სულ ადვილათ შეუძლიან ერთ პარტიულ ორგანოში მოთავსება, და იქ თავისუფლად მუშაობა,—საკონტროლო კომისია ავალებს თავის პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ გამართოს მოლაპარაკება აღნიშნულ ჯგუფებთან სათანადო შეთანხმების და შეერთების შესახებ.

ს. ს. დ. მ. პ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი.

თფილისი. 4 ნოემბერს შესდგა საქართველოს სოც.-დემ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივისა და ამავე რაიონის მეორე კოლექტივების წევრთა შეერთებული კრება. მოხსენება ცენტრიდან საერთო მდგომარეობის შესახებ და თფილისის კომიტეტიდან მოსმენილ და მიღებულ იქნა მხედველობაში.

კრებამ მოისმინა მოხსენება მცირე კოლექტივების წარმომადგენლებისა. მოხსენებიდან გამოირკვა: მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ამხანაგები მძიმე აუტანელ პირობებში იმყოფებიან, პარტიულ ორგანიზაციებში მაინც აწარმოებენ მუშაობას. მაგრამ გამოითქვა შეხედულება, რომ საჭიროა მეტი ენერგიის გამოჩენა პარტიულ მუშაობის გაცხოველებლად და კულტურული მუშაობის გაცხოველებლათ. მოხსენებები მიღებულ იქნა მხედველობაში. დროებითი არჩეულ საფინანსო კომისიის წევრმა აცნობა კრებას, მათ მიერ კოლექტივის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ სახალხო სახლში დადგენილ წარმოდგენამ წმინდა მოგება დასტოვა 10.000 მანეთი. ეს განცხადება მიღებულ იქნა ცნობათ. ერთობის უბნის წარმომადგენელი მოახსენებს კრებას, რომ ხსენებულ უბნის მცხოვრებნი დიდ ტანჯვას განიცდიან [illegible] გამო. [illegible] ქუჩებს პატრონი აღარ ყავთ და საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება. კრება ადგენს: ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს, მიაქციოს მეტი ყურადღება მუშათა უბნებს და მიიღოს სასწრაფო ზომები ხსენებულ უბანში ქუჩების შესაკეთებლათ. დასასრულ არჩეულ იქნა 5 პირისაგან შემდგარი საფინანსო—სატექნიკო კომისია.

თედ. ხუხუნაიშვილი.

კახათი (ზუგდიდის მაზრა), ორშაბათს, 25 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. კახათის ორგანიზაციის წევრთა კრება. კრებას დაესწრო სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. კ. ჩიქოვანი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ჩიქოვანი, მდივნათ ამხ. ელიმბარი ჩხაიძე. დღიური წესრიგში იყო: 1) მომენტი, 2) პარტიული მუშაობა, 3) კოოპერატიული მუშაობა. სამივე საკითხზე შინაარსიანი მოხსენება გააკეთა კომიტეტის წარმომადგენელმა.

დადგენილებები: 1) მოისმინა რა მოხსენება ამხ. ჩიქოვანის საგარეო და შინაურ—ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ კრება სრულიად იწონებს ჩვენი მთავრობის პოლიტიკას და აღუთქვამს შესაფერ დახმარებას.

2) კრება ადგენს გააძლიეროს პარტიული მუშაობა, მოახდინოს წევრთა ახალი რეგისტრაცია, შეადგინოს კომიტეტმა სია ჯარში გასაწვევი ჩვენი ამხანაგებისა და მოწინავე ამხანაგების დახმარებით გაშალოს კულტურულ-სოციალისტური აგიტაცია-პროპაგანდა.

3) ამხანაგებს ევალება განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღონ კოოპერატიულ ორგანიზაციების გაძლიერება—მუშაობაში.

დასასრულ ამხანაგებმა სთხოვეს კომიტეტმა დრო გამოშვებით გამოგზავნოს მომზადებული მომხსენებლები.

კან—ჩინ.

გორი. 30 ოქტომბერს, პარტიულ ბიუროს ბინაზე, შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობს მ. კობერიძე, მდივნობს ა. ქვათაძე.

დღის წესრიგში დასმული იყო 1) მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა არჩევნები, 2) სახალხო უნივერსიტეტის მომავალი არჩევნები და 3) ერობის არჩევნები.

პირველი კითხვის შესახებ მცირე კამათის შემდეგ არჩეულ იქნენ კოლექტივის წევრებათ 7 პირი და მათი კანდიდატები.

კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ ეფრემიძე, ქვანტალიანი, ჯაბაური, გიორგი, მ. კობერიძე, ჯუღელი და ვაჩეიშვილი, იასამნოვი.

კანდიდატებათ: მურალოვი, სამხარაძე, ბაიაძე, ბაღდინოვი, ინასარიძე, მურადოვი და ხუმუშური.

მეორე და მესამე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქვათაძე. უმთავრესი მტერიო, ამბობს ქვათაძე, არის სიბნელე, უვიცობა და გაუნათლებლობა. სწავლა-განათლება მშრომელი ხალხისათვის მიუწვდომელი იყო წინათ.

ეხლა კი გვეძლევა საშუალება სახალხო უნივერსიტეტის საშუალებით დაეწაფოს მშრომელი ხალხი ცოდნა-განათლებას უფასოთ.

საჭიროა გორში სახალხო უნივერსიტეტი რიგიანათ მოეწყოს; ეყოლოს რიგიანი ლექტორები, ეწყობოდეს სისტემატიური ლექციები როგორც საზოგადო თემებზე ისე სპეციალურ საგნებზე. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ყველა მუშა და ხელოსანი ჩაეწეროს წევრებათ. მათვე უნდა იკისრონ შედგენა მუდმივ მსმენელთა ჯგუფებისა, რომლებიც შეუწყვეტლათ მოისმენენ დაწყებულ საგნებზე ლექციებს. ყველა ამის რიგიანათ მოსაწყობათ საჭიროა უნივერსიტეტს ეყოლოს რიგიანი გამგეობა არჩეული. ეს კი საქმეებით თქვენზეა დამოკიდებული. თუ თქვენ კრებაზე მიხვალთ, ამით გაკეთდება ყველაფერი და ამიტომ მოუწოდა კრებას მისულიყვნენ მომავალ სახალხო უნივერსიტეტის კრებაზე და მიეღოთ, რაც შეიძლება მხურვალე მონაწილეობა.

შემდეგ აგრეთვე ერობის არჩევნებს და სთქვა, რომ ჩვენი მომავალი დამოკიდებული იქნება მთლათ ერობათა და თემთა განვითარებაზე. ერობა და თემი არის დემოკრატიის პოლიტიკური და ეკონომიური საფუძველი. ვერავითარმა ძალამ დემოკრატია ამ საფუძვლიდან ვერ უნდა ამოაგდოს. ჩვენ ვხედავთ მტრებს, რომლებიც გვებრძვიან, ებრძვიან ჩვენს პარტიას, დემაგოგიით, ინტრიგების მოწყობით, ინსინუაციით. მიზანი მტრების არის მშრომელი ხალხის მოტყუება მისი განაპირება, ეკონომიურ საფუძვლების ხელში ჩაგდება და აქედან პოლიტიკური გაბატონებით მუშათა კლასის დამონავება. ამიტომ, მომავალი ერობათა და სხვა არჩევნები მეტათ უნდა გვაინტერესებდეს პარტიის ყველა წევრებს და ეხლავე უნდა შევუდგეთ პროპაგანდა-აგიტაციას ფართო მასსაში.

კრებამ გამოსთქვა თავისი აზრი ამ საკითხების შესახებ და დაავალა კრებაზე დამსწრეთ ორგანიზაციული სიმტკიცით შეუდგნენ მომავალ არჩევნებს.

დასასრულ კრების დაშლის შემდეგ შესდგა ახლად არჩეულ კოლექტივის და წევრების და მათი კანდიდატების კრება, რომელზედაც გამოიმუშავეს მომავალი მუშაობის გეგმა. აირჩიეს კოლექტივის პრეზიდიუმი, რომელშიაც თავმჯდომარეთ არის **პ. ეფრემიძე**, ამხანაგათ კობერიძე მიშა და მდივნათ ქ-ნი **ჯუღელი**. კრებები კოლექტივისა გადაწყდა იმართებოდეს ყოველ ხუთშაბათობით საღამოს 6 საათიდან.

მოხეტიალე რაჭველი.

მუშათა შორის

ბათომი.

მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დეპოსა და მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა შეერთებულ სხდომაზე გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

დეპოსა და მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა შეერთებულ სხდომამ, მოისმინა რა ამხ. ნ. რამიშვილისა და ბ. ჩხაკვიშვილის მოხსენებები ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: მიღებულ იქნას ზომები, რათა გატარებული იქნას ცხოვრებაში ის ზომები, რომელიც გამომუშავებულ იქნა ქ. თფილისის ს.-დ. ორგანიზაციებისა და პროფ. კავშირების თათბირზე და ეთხოვოს რესპუბლიკის მთავრობას, რათა სათანადო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნას შემდეგი ზომები მუშათა კლასის მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ: 1) გადიდებულ იქნას პურის რაციონი სულზე ნახევარი გირვანქით. 2) მუშათა რაიონებში გაიხსნას ხორცის დუქნები და დაწესდეს კვირაში 2 დღე ხორცის ხელმისაწვდომ ფასებში გაყიდვა. ამასთანავე ამ დღეებში მუშათა რაიონებში კერძო სასადილოებში და რესტორანებში აიკრძალოს ხორციულ საჭმელების დამზადება. 3) ბინის საკითხის მომწესრიგებელ კომისიის ყურადღება მიქცეულ იქნას განსაკუთრებით იმაზე, რომ პირველ რიგში ბინები მიეცეთ მუშებს და შემდეგ მოსამსახურეთ. 4) მუშა მოსამსახურეთ დაბალ ფასებში, მათ ჯამაგირებში შეფარდებით, მიეცეთ მანუფაქტურა, რომელიც მოტანილია რკინის გზის კოოპერატივებში. 5) მიღებულ იქნას ზომები სოფლიდან პურის გამოსატანად. მუშა-მოსამსახურენი თავიანთი მხრივ აღუთქვამენ მთავრობას ყოველმხრივ დახმარებას ამ საქმეში. 6) ნება მიეცეთ გარედან სურსათ სანოვაგის შემოტანისა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც თავიანთ საჭიროებისათვის მოაქვთ ასეთი.

კულტურული კომისია.

5 ნოემბრის სხდომაზე, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების პროფ. კავშირთა გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს სეკრეტარიატს, რომ საბჭოსთან შექმნას კულტურულ-განმანათლებელი კომისია, რომელშიაც შევლენ პროფ. კავშირთა წარმომადგენელნი. კომისიის მიზანი იქნება ქ. ბათუმის პროფესიონალურ კავშირთა კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობის გაერთიანება.

შრომის ბირჟა.

6 ნოემბრამდე შრომის ბირჟაში იყო 42 კაცი (16 მამაკაცი და 26 ქალი). სამუშაოზე გაიგზავნა 2. 8 ნოემბერს სამუშაოზე მოთხოვნილია 8 კაცი.

პროვინცია

ხადა, ჯუმათი. (ნიგვზიანის თემი). ადგილობრივ თემის მუშების მიერ საერთო შრომით დამუშავებული იქნა რამოდენიმე ქცევა სიმინდის ყანა. რომლის წმინდა შემოსავალი ხმარდება სკოლების და სხვა სათემო ხარჯებს. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მუშები, საზოგადოებრივ საქმეს დიდი სიმპატიით ეპყრობიან.

რადგანაც ადგილობრივ სადგურიდან დიდძალი შეშა იგზავნება რკინის გზით სხვადასხვა ქალაქებში, თემის საბჭოს ხმოსანთა დადგენილებით ვაგონის მტვირთავი მუშები იხდიან თემის სასარგებლოთ, თითეულ ვაგონზე დაწესებულ ფასებზე ოცს პროცენტს. მუშები ამ დადგენილებას კმაყოფილებით შეხვდნენ, რის გამო დადგენილება ცხოვრებაში ტარდება.

მთელი ორი თვე მუდმივ წვიმებია, რის გამო მოსავლის შენახვა ფერხდება. [illegible] და საჭმელი ლობიო დალპა და სრულიად გაფუჭდა.

ღრიკელი.

ქ. ოზურგეთი. დღემდე ქალაქში სცენა და მისი დრამატიული ცხოვრება ბედის ანაბარათ იყო მიტოვებული. ამ უკანასკნელად ახლად შესდგა დრამატიული საზოგადოება, არჩეულ იქნა გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას: დაიწყო თეატრის შეკეთება; მოიწვია მსახიობნი: ქ-ნ აბაშიძე და ბ. ქავეიძე, რომელთა გარშემო შემოკრბა სცენის მოყვარეთა ჯგუფი, სწარმოებს მუშაობა.

სახალხო (ჯარისკაცთა და გვარდიელთა) უნივერსიტეტი უკვე ერთი კვირაა მუშაობს, სწარმოებს სისტემატიური მეცადინობა; მსმენელები დიდ ძალი ესწრება.

ეს ერთი თვეა გურიაში გამუდმებით წვიმს, რამაც ძლიერ შეუშალა ხელი ყურძნის მოკრეფას. შეიძლება ითქვას, რომ წელს გურიაში ღვინის მოსავალი სანახევროდ შემცირებულია. ავდრების გამო ძალზე გაძვირდა სიმინდი და შეშა; უკანასკნელი ღირს ურემი 2000—3000 მანეთამდე.

ხო—ვა.

ალაზან-გაღმა რაიონი. (თელავის მაზრა) ალაზან-გაღმა რაიონი იწყება ბახტრიონის ციხის მთის ძირიდან, მისდევს ალაზნის მარცხენა ნაპირს და თავდება არეშთ, სადაც ცხოვრობენ დაღესტანიდან გადმოსახლებული ლეკები. ბუნებას ყოველნაირად შეუმკია ეს რაიონი, მისი დაუეჭველი მინდვრები სამხრეთით ებჯინება ალაზნის ნაპირებს და ჩრდილოეთით—საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს, მაღალ მთებს, რომლებიც იცავენ მას ჩრდილოეთის ცივ ქარებიდან. მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ქართველებია, რომლებიც მისდევენ ხვნა თესვას, მევენახეობას და მეცხვარეობას, მ. გ. განთქმულია თუშური ყველი, ნაფარეულის ღვინო და ყვარლის და ძველი-გავაზის პური. ეს რაიონი ძალიან მდიდარია მატერიალურად და ღარიბია კულტურულად. იშვიათად შეხვდებოდით რომელიმე სოფელში სასწავლებელს და თუ შეხვდებოდით, ისიც იქნებოდა გარუსულებული, მაგრამ როცა მაზრა გადავიდა ერობის ხელში, მან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ხალხის სულიერ აღზრდას და მიიღო ყველანაირი ზომები. ეხლა კი იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფლებს, სადაც პირველ დაწყებითი სასწავლებლები არ იყოს, ერთი ან ორი მასწავლებლით. აქ სწავლა [illegible], პარტიულ მუშაობაში მთელი რაიონი ჩამორჩენილია, ამაში, მე მგონი, დამნაშავეა ყოფილი სამაზრო კომიტეტი, რომელმაც არ მიაქცია არავითარი ყურადღება სოფლებს; არ უმართავდა მიტინგებს, არ უგზავნიდა პროპაგანდისტებს, არ უწყობდა ორგანიზაციებს, ადგილობრივი ძალებით კი ამის შექმნა არ იქნებოდა და თვითონ კომიტეტის წევრები რაიონში არ დადიოდენ. თუ თფილისიდან მოვიდოდა რომელიმე ამხანაგი და გამართავდა კრებას, ხალხი დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდა მას და ჯეროვანი დადგენილებებიც გამოჰქონდათ. თუმცა მეტ სოფლებში ორგანიზაციები არსებობენ, მაგრამ ესენი სრულიად უმოქმედონი არიან. ეხლა მოხდა ახალი კომიტეტის არჩევნები.

არჩ. აბაზაძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

იყიდება

პატეფონი თავისი დასადგმი მაგიდით და 12 „პლასტიკით“. იკითხეთ: ვეძინის ქ. № 12 (მეტევი ქ. ახლოს) სახლის პატრონი. (3677—1—1)

შემთხვევით

იყიდება ხალიჩა, პლიუშის საბანი, სუფრა 12 სალფეტკით, პალტო, კრავატები და სხვა ნივთები, სოლოლაკი, გუდოვიჩის ქუჩა № 14, ეზოში, ბინა № 10. (3672—1—1)

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

მასწავლებლები

სიმ. და თეკ. გრიაზნოვები

იყვანენ სარეპეტიციოთ და მოსამზადებლათ საშუალო და უმაღ. დაწყ. სასწავლებლისათვის. ყავთ სრულ წლოვანთა ჯგუფი 4 კლასის მოწმობისათვის. მისამართი ვერა. იზმაილოვის შესახვევი სახ. 6. ბინა 8. ნახვა შეიძლება საღ. 3—5 საათ. (3618—3—3).

ექიმი

რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისუსტის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—დეკ.

ექიმი

ი. ა. ტერ-ავაკუმოვი

გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და 914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქართულ და რუსულ საშუალო

სასწავლებელში

1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვსწორებ მათემატიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, (შესავალი ალექსის ქ. 5) 9—12 საათ. 4—5 მაჩაბლის ბინა. (3627 5—4)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

სამკურნალო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ზოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 22. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებები, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხა

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10—12 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი: ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22 ნოემ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—[illegible] და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, სოლოლაკი.

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი

პ. ცუშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს:

საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.).

სახლი

მამული, აგარაკი,

იყიდოთ ან გაყიდოთ

აქვს დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, გოლოვინის პროსპექტის ახლო თბილისი. „ინტელიგენტთა ჯგუფი“. (3674 1—1)

სახელმწიფო სტამბა, [illegible] ქუჩა № 4